გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№123 (25.003) ხუთშაბათი, 10 - 11 ნოემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მთაში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

## კრიალოსა N იუსი

2023 წლიდან წამლებზე რეფერენტული ფასები დაწესდება - სახელმწიფო ღირებულების იმ მაქსიმალურ ზღვარს ადგენს, რომელზე ძვირადაც დაუშვებელი იქნება მედიკამენტის რეალიზაცია, რაც მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ამის შესახებ გუშინ პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულ მთავრობის სხდომაზე აღინიშნა. როგორც სხდომაზე ითქვა, რეფერენტული ფასების დაწესება, საშუალოდ, 40%-ით გააიაფებს წამლების ღირებულებას. პირველ ეტაპზე, რეფერენტული ფასები, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე დაწესდება, ეტაპობრივად კი ფასების რეგულირების მექანიზმი სხვა ჯგუფის მედიკამენტებზეც გავრცელდება.

* * *

საფინანსო სექტორში შესაძლოა საშუალო ზომისა და სტაბილური ბიზნესმოდელის მქონე ახალი ფინანსური ინსტიტუტი შეიქმნას, რომელიც სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობაზე იქნება ორიენტირებული. ამას „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გუშინ პირველი მოსმენით განიხილა. „მიკრო ბანკებს სოციალური მისიაც ექნებათ, რაც მცირე ბიზნესის განვითარების შედეგად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უკავშირდება“, - აღნიშნეს საკომიტეტო განხილვისას.

* * *

„ქართული ოცნების“ ოფისთან, ქვეყნის მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანის მოთხოვნით, მდუმარე აქცია გაიმართა. „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ხელისუფლება, რომელიც არაადამიანურად ეპყრობა პირებს მხოლოდ იმის გამო, რომ მათ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები და ა.შ. აქვთ, არ შეიძლება ქვეყნის სათავეში იყვნენ და ისინი ვერ მოგვიტანენ იმ მთავარ ღირებულებას, რაც არის ევროპული მომავალი“, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის წევრმა დიმიტრი ბიძინაშვილმა.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ნაწილი შიდაპარტიული არჩევნების ჩატარებას ითხოვს. კერძოდ, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ნადირაძე და რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები მოითხოვენ, პარტიის პოლიტსაბჭო და სამდივნო ხელახლა დაკომპლექტდეს და ახალი თავმჯდომარე აირჩეს. „ვფიქრობთ, რომ პარტიის გაძლიერებას საფუძვლად უნდა დაედოს შიდაპარტიული დემოკრატიის გაძლიერება და შიდაპარტიული არჩევნები ყველა დონეზე. ვითხოვთ, ახლიდან აირჩეს პოლიტიკური სამდივნო, პოლიტსაბჭო და რაც მთავარია, ჩატარდეს თავმჯდომარის არჩევნები“, - განაცხადა ირაკლი ნადირაძემ.

მოამზადა
ია შველიძემ

# თანამშრომლობა ღრმავდება, პროექტები – ხორციელდება

*გერმანიაში, ფრანკფურტში, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე და ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის უფროს თინა ზოიძესთან ერთად*



ვიზიტის ფარგლებში ისინი გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (kfw) აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართულების დირექტორ ვერონიკა გარსია დელ არკოს, ურბანული და რეგიონალური განვითარების დეპარტამენტის უფროს იენს ჰაგენს და გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს აჭარის რეგიონთან თანამშრომლობის საკითხები, ასევე ბათუმში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები.

KFW-ს მხარდაჭერით, ბათუმში პროექტი - „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება საქართველოში“ ხორციელდება, რომელიც ითვალისწინებს საჯარო საბავშვო ბაღების ენერგოეფექტურად რეაბილიტაციას. მისი დასრულების შემდეგ ბათუმი პირველი ქალაქი იქნება საქართველოში ევროსტანდარტების შესაბამისი ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბაღებით.

მხარეებმა ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების განვითარება და ამ კუთხით KFW-ს და GIZ-ის ჩართულობის პერსპექტივა განიხილეს. ბანკის დაფინანსებით, 2019 წელს ჩატარდა სატრანსპორტო მობილობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და მომზადდა ბათუმის მდგრადი ტრანსპორტის შეფასების ანგარიში, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ახალი პროექტის დაწყება.

უცხოელმა პარტნიორებმა ბათუმის მდგრადი საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების, ველო და ქვეითთა ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით თანამშრომლობის მზაობა გამოთქვეს.

გერმანიის რეკონტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით აჭარაში წყლის სისტემის განვითარების პროექტი მიმდინარეობს. ეს მასშტაბური პროექტი აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე სისტემების მოწყობას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე KFW-ს შესყიდვების სტანდარტების მშენებლობის საერთაშორისო ტენდერი მიმდინარეობს. პროექტის IV ფაზა უკვე დასრულებულია. გერმანულ მხარესთან მიღწეულია შეთანხმება შემოერთებულ ტერიტორიებზე პროექტის V ფაზის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს იქნება ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი, რისთვისაც 78,8 მილიონი ევრო დაიხარჯება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია წყალარინების გამწმენდი ნაგებობების გაფართოება, სატუმბი სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია და წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა. წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების სრულად მოწესრიგების შემდეგ აღნიშნულ ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო, რაც ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას.

პროექტის ფარგლებში, თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურით სარგებლობას აჭარის 39 სოფელში მცხოვრები 5829 ოჯახი, ჯამში დაახლოებით, 30 000 ადამიანი შეძლებს. პროექტი, რომლის ბიუჯეტი 59,5 მილიონი ევროა, ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე გამწმენდი ნაგებობების, სასმელი წყლის მკვებავი ხაზის მშენებლობას, მაგისტრალური წყალსადენის რეაბილიტაციას და წყალმომარაგების ქსელების გამართვას ითვალისწინებს. დღემდე ბათუმში, kfw-თან თანამშრომლობის ფარგლებში წყლის, წყალარინების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია 165 მლნ ევრომდე დაფინანსდა.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში შემუშავდა ველოსიპედით გადაადგილების გენერალური გეგმა, მომზადდა საპარკინგე პოტენციალის კვლევის დოკუმენტის პროექტი და მიმდინარეობს მუშაობა ფეხით გადაადგილების კონცეფციაზე.

აღსანიშნავია, რომ ბათუმი ჩართულია GIZ-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის აგვისტოში ბათუმსა და როსტოკს შორის გაფორმდა შეთანხმება მეგობრული ურთიერთობების გაღრმავების თაობაზე. GIZ-თან თანამშრომლობა გრძელდება მდგრადი ურბანული ტრანსპორტის, ასევე როსტოკთან პარტნიორობის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მიმართულებით.

ანკა ჩხიკვაძე

## «ნაციონალური მოძრაობის» შიდაპარტიულ არჩევნებთან დაკავშირებით...

2

## რა თქვა დევიდ ლიმ? სკანდალური განცხადება და შეფასებები

4

## «ტყის რესურსების გადარჩენის უპირობო საშუალებად ბუნებრივი გაზის დროულად შემოყვანა მიმაჩნია»

6

## ჩაუტარდება თუ არა რეაბილიტაცია ეკომიგრანტების საცხოვრებელ სახლს, სამხარაულის ექსპერტიზის პასუხზეა დამოკიდებული

7

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.



აჭარა 101

# „ერთად ვიმუშაოთ საზოგადოების ჩართულობისთვის“

## საერთაშორისო სემინარი – გარემოსდაცვითი განათლებისა და ურთიერთობის შესახებ

**დარინა ბაბაიძე 27 48 93**




*3 ნოემბერი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების დღეა*

წელს ბოტანიკურ ბაღს დაარსებიდან 110 წელი შეუსრულდა. თარიღთან დაკავშირებით მთელი ნოემბრის განმავლობაში არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი, როგორც საგანმანათლებლო, ისე შემეცნებითი და მარკეტინგული.

- ძალიან საინტერესო ღონისძიებით დავიწყეთ ბოტანიკური ბაღის დაარსების 110 წლისთავის აღნიშვნა. ბაღი მასპინძლობდა საერთაშორისო სემინარს გარემოსდაცვითი განათლებისა და ურთიერთობების შესახებ - „ერთად ვმუშაობთ საზოგადოების ჩართულობისთვის“. გვეწვივნენ ჩვენი კოლეგები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბატონი ტონი ალისონი, არიადნა რეიდა და ბატონი ჩაკ ლენოქსი, რომლებმაც გარემოსდაცვითი მიმართულებით გამართეს სემინარები, იყო დისკუსიები, პრაქტიკული მეცადინეობით. ვფიქრობთ, ამ ტიპის სემინარები წაადგება ბაღის ცნობადობის გაზრდას.

საერთაშორისო სემინარზე დასასწრებად მოვიწვიეთ ჩვენი კოლეგები ზუგდიდისა და ქუთაისის ბოტანიკური ბაღებიდან, ესწრებოდნენ დაცული ტერიტორიების, ეროვნული პარკის წარმომადგენლები, ასევე, სკოლის პედაგოგები მაღალმთიანი აჭარიდან და ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან. ქალაქ ბათუმის რამდენიმე სკოლის პედაგოგიც მონაწილეობდა და გვინდა, რომ ამით საფუძველი ჩავუყაროთ, მომავალში უფრო გავააქტიუროთ საგანმანათლებლო პროგრამები ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. დღეის მდგომარეობით, გვაქვს პროგრამა, რომლითაც ვმუშაობთ - „უფრო ახლოს ბუნებასთან“, რომელშიც ჩართული გვყავს სკოლის მოსწავლეები. ჩვენი თანამშრომლები მათ უტარებენ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. ვფიქრობთ, ეს სემინარი ხელს შეუწყობს მომავალში ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას.

ჩვენი მიზანია, საზოგადოება მაქსიმალურად ჩავრთოთ ბაღის შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებში, - გვითხრა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა ირაკლი არჩაიამ.

# „ნაციონალური მოძრაობის“ შიდაპარტიულ არჩევნებთან დაკავშირებით...

**დარინა ბაბაიძე 27 48 93**

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირაკლი ნადირაძე პარტიის რეგიონალურ ლიდერებთან ერთად თავმჯდომარის ახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. ამის თაობაზე მან გუშინ ბრიფინგზე განაცხადა. ირაკლი ნადირაძის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს ასობით ათასი ამომრჩევლის მიერ მინიჭებული ლეგიტიმაცია, რათა ახალი ენერგიით, ახალი გეგმით იბრძოლონ ქვეყნის თავისუფლებისთვის. მისივე თქმით, შიდაპარტიული არჩევნები ყველა დონეზე უნდა ჩატარდეს.

ამ თემასთან დაკავშირებით გუშინ ბრიფინგი გამართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილმა. ის დარწმუნებულია, რომ მალე „ნაციონალური მოძრაობა“ ვეღარ იარსებებს.

„გვაქვს მოლოდინი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საახალწლოდ საჩუქარს უმზადებს ქართველ ხალხს და დარწმუნებულნი ვართ, ასეც მოხდება. აღნიშნული პარტია, პირველად 20-წლიანი მმართველობის ისტორიაში, ჩადგა ხალხის სამსახურში და გამოაცხადა თვითლიკვიდაცია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს პროცესი ძალიან გააჯანსაღებს ქართულ პოლიტიკურ რეალობას და სპექტრს. უახლოეს მომავალში არის სრული მოლოდინი იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ფორმით აღარ და ვეღარ იარსებებს და მისგან დარჩება მელიები, ციყვები, მგლები და ა.შ.

ეს ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ახალი პოლიტიკური ცხოვრების დასაწყისი იქნება, სადაც ყველაზე დიდი მავნებელი პოლიტიკური ორგანიზაცია აღარ იარსებებს, მივესალმებით ყველა იმ პროცესს, რაც დღეს მიმდინარეობს „ნაციონალურ მოძრაობაში“. ეს არის, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველაზე დიდი პოლიტიკურად მავნებელი ორგანიზაცია, რომელიც ხელს უშლის და აფერხებს ქვეყნის განვითარებას და ამიტომ არის მნიშვნელოვანი მისი გაქრობა ქართული პოლიტიკური სივრციდან“.

ზემოთ ხსენებულ ბრიფინგთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ „ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი კირთაძეს.

„ლადო მგალობლიშვილისთვის, კობახიძისთვის, რიჟვაძისთვის და ასეთი ტიპის ადამიანებისთვის შიდაპარტიული დემოკრატია, რა თქმა უნდა, არის უცხო ხილი. უფრო მეტიც, დემოკრატიაც უცხო ხილია. ლადო მგალობლიშვილი არავის, არასდროს, არსად არ აურჩევია. ის ყოველთვის დანიშნეს, ამიტომ მისთვის წარმოუდგენელია, რას ნიშნავს არჩევნები! „ნაციონალურ მოძრაობას“ გვაქვს პრეტენზია იმაზე, რომ ოლიგარქია შევცვალოთ ამ ქვეყანაში და არაფორმალური მმართველობა აღარ იყოს. რა თქმა უნდა, ჩვენ ამისთვის შინაგანად, პირველ რიგში პარტიულად, უნდა ვიყოთ მზად. ამიტომ შიდაპარტიული არჩევნები მხოლოდ და მხოლოდ დიდი, წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის გზაზე. არ მიკვირს, რომ ეს არ ესმის მგალობლიშვილს და მისნაირი აზროვნების ადამიანებს, ვინც არიან დღეს „ქართულ ოცნებაში“. მართლა გულწრფელად მინდა ვკითხო თქვენს მკითხველს, ან ნებისმიერ ადამიანს, მართლა ჰგონიათ, რომ „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები თავს ვალდებულად გრძნობენ ამომრჩევლის წინაშე? ან მართლა ჰგონია ლადო მგალობლიშვილს, რომ ის ხალხმა აირჩია?! თვითონ ხომ ზუსტად იცის, რომ დანიშნულია! ბიძინა ივანიშვილი, ღარიბაშვილი, კობახიძე, რიჟვაძე ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებენ, რაღაცები არ მოეწონებათ და ლადო როგორც მოიყვანეს და დანიშნეს, ისე მოხსნიან. ეს განსხვავებაა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს პარტიაში პროცესები წავა მაღალი დემოკრატიული სტანდარტით და აქედან პარტია მხოლოდ და მხოლოდ გაძლიერებული გამოვა, ამაში დარწმუნებული ვარ“.

# სამინისტრო ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტს ზრდის

***აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, პარლამენტარ ანზორ ბოლქვაძესთან და ხულოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან ერთად, რიყეთის, დიოკნისისა და დიდაჭარის მოსახლეობას შეხვდა***

მინისტრმა მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტით დაგეგმილ სიახლეებზე, ისაუბრა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ახალი ინიციატივის - DRG-ის მოდელის ამოქმედების შესახებ, მოისმინა მათი მოსაზრებები და სურვილები.

როგორც ნინო ნიჟარაძემ აღნიშნა: „მომავალი წლის ბიუჯეტი 4 000 000 ლარამდე გაიზრდება და შესაბამისად, მოქალაქეთა საჭიროებები მაქსიმალურად აისახება უწყების ფინანსურ დოკუმენტში. ამისთვის ყველა საკომუნიკაციო არხი ღიაა და ჩვენ, აჭარის მთავრობის წევრები, ინტენსიურ რეჟიმში ვართ ჩართულნი მოსახლეობასთან ორმხრივ კომუნიკაციაში. აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სამინისტრო 2023 წელს ზრდის ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტს, რომელიც იქნება 4 080 000 ლარი, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან თითოეულ ოჯახზე თანადაფინანსების წილი გაიზრდება 40 000 ლარამდე.

პირველად დაიწყება შშმ სტატუსის მქონე დედათა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2000 ლარის ოდენობით, ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება, თვალის ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა.

გაიზრდება შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამები, ელექტროეტლების რაოდენობა და დამხმარე საშუალებების ნუსხა. 120 000 ლარამდე გაიზრდება ღვიძლის ტრანსპლანტაცია, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისათვის კი გამოიყოფა 125 000 ლარიდან 235 000 ლარამდე.“

**ანკა ჩხიკვაძე**

# სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა 15 ნოემბრამდე უფასოა

**ფიქრია დავლაძე 579 25 25 72**

საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო აცრა 6 თვის ასაკიდან უფასოა.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია ვაქცინაციის პროცესში ჩართულ 400-მდე სამედიცინო დაწესებულებაში შესაბამისი პროცედურით სრულიად უფასოდ ისარგებლოს. უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველომ 200 ათასი დოზა „სანოფი პასტერის“ წარმოების, ოთხკომპონენტიანი ვაქცინა შეიძინა, რომელიც ერთ-ერთია ჯანმოს მიერ რეკომენდებულ ვაქცინებს შორის. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრმა ვაქცინაცია სექტემბრის ბოლოს დაიწყო. პირველ ეტაპზე, მომსახურება რისკის ჯგუფში შემავალმა პირებმა მიიღეს. 15 ნოემბრამდე კი ვაქცინაცია ნებისმიერი მსურველისთვის უფასოა.

გრიპი მწვავე ვირუსული რესპირატორული დაავადებაა. გრიპისადმი მიმღებლობა ნებისმიერ ასაკში მაღალია, იგი ადვილად ვრცელდება. სწორედ, მისგან დასაცავად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, პროფილაქტიკის ერთადერთი, ეფექტური და პირდაპირი საშუალება სეზონური გრიპის ვაქცინით აცრაა.

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელ რუსუდან შავიშვილის თქმით, გრიპის ვაქცინით აცრა სეზონის დაწყებამდეა ეფექტური, მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა სწორედ სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში ჩაიტარა ვაქცინაცია. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ გაიცა რეკომენდაციები, პირველ ეტაპზე თუ ვისთვის იყო გათვალისწინებული უფასო ვაქცინაცია. პრიორიტეტული ჯგუფებია: პირველადი ჯანდაცვის ქსელი, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პირები, ორსულები, დიალიზზე მყოფი პაციენტები, C ჰეპატიტის აქტიურ ფაზაში მყოფი მოქალაქეები, აივ ინფექციისა და შიდსის მატარებლები. ასევე, ვაქცინაციით უზრუნველყოფა აუცილებელია ორგანოგადანერგილებისთვის, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლისა და მოხუცთა თავშესაფარში მყოფი ბინადრებისთვის და მათი პერსონალისთვის. პრიორიტეტულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პერსონალი, ვეტერინარიაში, გარემოს დაცვის სამსახურში, ჯარში, შსს-ში მომუშავე პირები. თავდაპირველად სწორედ მათ ჩაუტარდათ უფასო ვაქცინაცია. მათ, ვინც რისკის ჯგუფებს არ მიეკუთვნებიან, შეეძლოთ სააფთიაქო ქსელში შეეძინათ გრიპის ვაქცინა, მიეტანათ ოჯახის ექიმთან და გაუწევდნენ მომსახურებას.

იხ. მე-7 გვ.

## ამბები

# შედეგების სალიკვიდაციოდ

**თამაზ მზხავრიძე 27 48 94**

ოქტომბერ-ნოემბერში მისულმა უხვმა ნალექმა მეწყრული პროცესები გაააქტიურა ქედის ტერიტორიაზე. რიგ სოფლებსა და დასახლებულ უბნებში ჩაიხერგა და ჩაიკეტა საავტომობილო გზები. დამეწყრილი გზების გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე და აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქედის მუნიციპალიტეტის განყოფილების უფროსი გოჩა ბერიძე მუნიციპალიტეტში განვითარებული მეწყრული პროცესებისგან დაზიანებული გზების აღდგენით სამუშაოებს გაეცნენ.

დამეწყრილ მონაკვეთებზე გაწმენდით სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის სპეციალური ტექნიკა და ქედის „კომუნალური სერვისის“ ტექნიკა ინტენსიურ რეჟიმში ასრულებს.

- ამ ეტაზე ყველა სოფელში მისასვლელი საავტომობილო გზა გაწმენდილია, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

# გამოცდილება გაუზიარა

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

სოფელ ვაღოვანში, საოჯახო სასტუმრო „რიმას სახლში“ ხულოს მუნიციპალიტეტს ქალთა ოთახის ორგანიზებით, გასვლითი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.

ქალთა ოთახის მოწვევით „საორსას“ დამფუძნებელმა და აღმასრულებელმა დირექტორმა ლია ფუტკარაძემ მეწარმე და სამეწარმეო საქმიანობით დაინტერესებულ ქალებს გამოცდილება გაუზიარა.

- შეხვედრის მიზანი ქალების ეკონომიკური გაძლიერებაა. მუნიციპალიტეტში იზოლდა სურმანიძის და სხვათა სახით არიან ქალები, რომლებმაც ბიზნესი წამოიწყეს, მინდობილ საქმეს წარმატებით უძღვებიან. გამოცდილების გაზიარება მათ საქმიანობას სასიკეთოდ წაადგება, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის ხელმძღვანელმა ციური სოლომონიძემ.

# ითვალისწინებენ მოთხოვნებს

მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ზოიძე ზენითის, აჭყვისთავის, ალამბრის, მუხაესტატეს, გვარასა და ხუცუბნის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების მოსახლეობას შეხვდნენ.

მირიან ქათამაძე მოსახლეობას მიმდინარე პროგრამებზე, პროექტებზე, ასევე, მოახლოებულ ციტრუსის სეზონთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე, სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებზე ესაუბრა, აკაკი ძნელაძემ სამინისტროში მიმდინარე სიახლეებზე მიაწოდა ინფორმაცია.

„ადგილობრივები სხვადასხვა საკითხის მოგვარებას ითხოვენ. ვცდილობთ, გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები და შესაძლებლობის ფარგლებში მოვაგვაროთ ისინი,“ - აღნიშნა ლევან ზოიძემ.

**ანკა ჩხიკვაძე**

# რას გვაძლევს შესწორებების კომპრომისული ვარიანტი და ისარგებლა თუ არა საქართველომ რუსეთ-უკრაინის ომით?

საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების კუთხით ფრიად მნიშვნელოვანია ის გადაწყვეტილება, რომელიც 8 ნოემბერს ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტმა მიიღო. მან საქართველოს მიერ ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებულ სვენ მიქსერის ყოველწლიურ ანგარიშს კომპრომისული შესწორებებით მხარი დაუჭირა. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი მხოლოდ ხუთი პარლამენტარი აღმოჩნდა, ორმა თავი შეიკავა, ხოლო მხარდამჭერთა რიცხვი 47-ია. მოკლედ თუ ვიტყვით, ცალკეული დეპუტატების მიერ მომზადებული შესწორებები ახალი, კომპრომისული ვარიანტით შეიცვალა. მასში აღარ გვხვდება ბიძინა ივანიშვილის სანქცირების მოთხოვნა. გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლება აღარ არის მოხსენიებული აუცილებელ წინაპირობად ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, როგორც ამას შესწორებების ადრინდელ ვარიანტებში ითხოვდნენ.



ახალ ვერსიაში „გამოთქმულია წუხილი, რომ ღრმა პოლარიზაცია კვლავ რჩება საქართველოს პოლიტიკური გარემოს განმსაზღვრელ მახასიათებლად; შესწორებები შეიცავს მოწოდებას ყველა დაინტერესებული პოლიტიკური მხარისადმი, თავი შეიკავონ ყოველგვარი გამყოფი და აგრესიული რიტორიკისაგან, გააერთიანონ თავიანთი ძალები, რათა საფრთხე არ შეუქმნან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მთავარ მიზანს ამბიციური დემოკრატიული, სასამართლო და ანტიკორუფციული რეფორმების განხორციელების გზით; ხაზს უსვამს ნდობის ჩამოყალიბებისა და გაზრდის აუცილებლობას ყველა პოლიტიკურ და ინსტიტუციურ მოთამაშეს შორის, ასევე მათ და ქართველ ხალხს შორის; ევროკავშირის შუამავლობით 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების ძირითადი დებულებები კვლავ წარმოადგენს გზას დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გაძლიერებისა და პოლარიზაციის შემცირებისკენ საქართველოში და, შესაბამისად, აისახება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგში“.

შესწორებებში ასევე „გამოთქმულია წუხილი 19 აპრილის შეთანხმებიდან მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ გასვლაზე და მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, შეასრულონ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებები“; აღნიშნულია, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილება პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერების, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის გასამართლების შესახებ და სასამართლოს განაჩენის გამოყენება ჯაფარიძისთვის საპარლამენტო მანდატის ჩამორთმევის მიზნით არის პოლიტიზებული მართლმსაჯულების საქმის აშკარა დემონსტრირება; ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკური ლიდერების შემდგომი გასამართლება ეწინააღმდეგება პოლარიზაციის შემცირების დეკლარირებულ განზრახვებს“.

დეოლიგარქიზაციის საკითხთან დაკავშირებით ახალი შესწორებები ხაზს უსვამს: „ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის აუცილებლობას, როგორც კომისიის მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის გადაწყვეტა აუცილებელია საქართველოს კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე; რეკომენდაციას იძლევა, რომ მოგვარდეს კერძო ინტერესების, განსაკუთრებით ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის გადაჭარბებული გავლენა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სტრუქტურული და მარეგულირებელი რეფორმების სისტემური გზით“.

კომპრომისულ ვერსიაში ვკითხულობთ, რომ: „საქართველოს ხელისუფლებამ გაათავისუფლოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისცეს მას უფლება, გაიაროს სათანადო სამედიცინო მკურნალობა საზღვარგარეთ ჰუმანიტარული ნიშნით“ და ეს იქნება „პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირების საშუალება; მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები და განიხილოს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები მედიის მუშაკებისა და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მედიასაშუალებების მფლობელების ან ახლო ოჯახის წევრების წინააღმდეგ“.

აქვე საუბარია მედიასაშუალება „მთავარის“ დამფუძნებელზეც: „გადაიხედოს ნიკა გვარამიას საქმე და გამოთქმულია მოლოდინი, რომ ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური და ევროკავშირის წარმომადგენლობა ადგილზე გააგრძელებს პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებთან დაკავშირებული ყველა სასამართლო პროცესის მონიტორინგს“.

ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გასაჯაროებასაც ისეთივე არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა საქართველოს პოლიტიკურ სპექტრსა და საზოგადოებაშიც, როგორც ყველაფერს პოლიტიკურად ამ უკიდურესად პოლარიზებულ ქვეყანაში.

ოპოზიციური პარტიები „დროა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“, რომლებმაც, მოგეხსენებათ ალიანსი შექმნეს, აცხადებენ, რომ ზემოთ ხსენებული ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საჭირო 12 რეკომენდაციის შესრულების კუთხით წინსვლა არ აქვს. პოლიტიკური პარტია „ლელო“ კი აღნიშნავს, რომ ევროპარლამენტმა დაადასტურა ქვეყანაში არსებული ის პრობლემები, რაზეც მათი ლიდერები საუბრობდნენ.

„დროა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ერთობლივ განცხადებაში აღნიშნავენ, რომ ევროპარლამენტი საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვს შეწყვიტოს პოლიტიკური მოტივებით ოპონენტების დევნა.

„24 ივნისიდან 4 თვის თავზე, 12 რეკომენდაციის შესრულების ნაცვლად „ქართულმა ოცნებამ“ საწინააღმდეგო ნაბიჯები გადადგა, კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება და კიდევ უფრო დაგვაშორა ევროპული ოჯახის წევრობის პერსპექტივას. შექმნილ ვითარებაში, ქვეყნის ევროპული მომავლის გადარჩენის გზა გადის პროდასავლურად განწყობილი მოსახლეობის უმრავლესობისა და პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაციასა და ქართული ოცნების ხელისუფლებიდან მაქსიმალურად სწრაფად ჩამოცილებაზე“, - წერია ამ სამეულის ერთობლივ განცხადებაში.

„ლელოს“ განცხადება კი ასეთია: „დოკუმენტი ადგენს, რომ ქვეყანაში არსებობს პოლიტიზირებული მართლმსაჯულება... დიდი ხანია ვაცხადებთ, რომ სამართლებრივი დევნის ერთადერთი მოტივაცია იყო პოლიტიკური, რაც დაადასტურა ევროპარლამენტმა. დარწმუნებულები ვართ, რომ იგივე განმეორდება სტრასბურგის სასამართლოზეც.

ანგარიშმა ცხადყო, რომ როდესაც ევროკავშირი საუბრობს დეოლიგარქიზაციის შესახებ, საუბარი შეეხება სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების გათავისუფლებას ივანიშვილის გავლენისგან“.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით კირკიტაძის თქმით, ყველაფერს გააკეთებენ, რათა ევროპარლამენტის ხსენებული კომიტეტის გადაწყვეტილება შესრულდეს.

„მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი გადაყვანა არის აუცილებელი. ამაში დარწმუნდა ყველა, არა მხოლოდ ქვეყნის გარეთ, არამედ ქვეყნის შიგნითაც. ახლა ამ რეზოლუციის ამ ნაწილში უფრო გარკვევით და კონკრეტულად წერია, თუ რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა და ქვეყნის ყველა სტრუქტურა, სადაც არის ბიძინა ივანიშვილის უდიდესი გავლენა და აბსოლუტური გავლენა, უნდა განთავისუფლდეს“, - განაცახადა კირკიტაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ გივი მიქანაძის აზრით, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ მიღებული დოკუმენტი აცდენილია რეალობას:

„ეს ჩანაწერი არის არაადეკვატური, აცდენილია რეალობას და არ ასახავს იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ადგილი აქვს კონკრეტულ პირებთან მიმართებაში, მათი მხრიდან ჩადენილი კონკრეტული დანაშაული ქმედებების მიმართ სასამართლოს მხრიდან მაქსიმალური გამჭირვალობით ჩატარებული პროცესებისა და საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელზეც საზოგადოებას ძალიან მარტივად ჩამოუყალიბდა ხედვა, თუ რა კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებთან გვქონდა საქმე“, - განაცხადა გივი მიქანაძემ.

მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის მერი კახა კალაძეც ფიქრობს, რომ ხსენებულ რეზოლუციას არანაირი ფასი არა აქვს:

„პირდაპირ შეიძლება, ითქვას, რომ ამ რეზოლუციას არანაირი ფასი არ აქვს, არც შინაარსიდან გამომდინარე, რადგან ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის საზოგადოებამ და ამ საქმეების კეთება ბიძინა ივანიშვილს არ დაუწყია გუშინ და გუშინწინ. შესაბამისად, ნამდვილად არ ვეთანხმები ამ ყველაფერს, რაც მოცემულია რეზოლუციაში. რაც შეეხება ევროპულ გზას, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით. თუნდაც 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესასრულებლად, ჩვენი მხრიდან ყველაფერი შესრულდება და გაკეთდება, რათა საქართველო რაც შეიძლება სწრაფად გახდეს ევროპული ოჯახის წევრი“, - თქვა კახა კალაძემ.

ევროპარლამენტის საგარეო საკითხთა კომიტეტის სხდომას ესწრებოდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დედა, გიული ალასანია, რომელსაც კენჭისყრის დაწყებამდე მისასალმებელი სიტყვით მიმართა კომიტეტის თავმჯდომარე დევიდ მაკალისტერმა.

„დღეს ამ შეხვედრას ესწრება პროფესორი გიული ალასანია, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიშა სააკაშვილის დედა, ოჯახის წევრებისა და მეგობრების თანხლებით. ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით წუხილი მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, პატიმრობის პირობებში. ასე რომ, მხურვალედ გესალმებით“, - მიმართა მაკალისტერმა ალასანიას.

ევროპარლამენტარები საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ ძირეული სასამართლო და საარჩევნო რეფორმებისკენ. ტექსტის თანახმად, დროულად უნდა დასრულდეს საარჩევნო რეფორმა და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის აღმოიფხვრას მანამდე გამოვლენილი ნაკლოვანებები და ჩატარდეს OSCE/ODIHR-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ტექსტში გამოხატულია წუხილი, „ქართული ოცნების“ მიერ პარლამენტში შექმნილ, საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფში ISFED-ის არდაშვებასთან დაკავშირებით.

*„ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გასაჯაროებასაც ისეთივე არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა საქართველოს პოლიტიკურ სპექტრსა და საზოგადოებაშიც, როგორც ყველაფერს პოლიტიკურად ამ უკიდურესად პოლარიზებულ ქვეყანაში*

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

აშშ-ში კონგრესის შუალედური არჩევნები ჩატარდა. კენჭი უყარეს წარმომადგენელთა პალატის ყველა, 435 მანდატს და სენატის 100 მანდატიდან 35-ს. ამომრჩევლები რამდენიმე შტატის გუბერნატორებსაც ირჩევენ. ხმების დათვლის შედეგების თანახმად, წარმომადგენელთა პალატაში „რესპუბლიკელები“ ლიდერობენ. CNN-ის ინფორმაციით, წარმომადგენელთა პალატაში „რესპუბლიკელებმა“ გუშინ 190 ადგილი, „დემოკრატებმა“ კი 167 მანდატი მოიპოვეს. 435-ადგილიან წარმომადგენელთა პალატაზე კონტროლის მოსაპოვებლად პარტიას 218 მანდატი სჭირდება. რაც შეეხება სენატს, სადაც წელს კენჭს უყრიდნენ მანდატების დაახლოებით მესამედს, „რესპუბლიკელებსა“ და „დემოკრატებს“ გუშინ თანაბარი, 46-46 ადგილი ჰქონდათ.

* * *

ნატოს მომდევნო სამიტი ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში, 2023 წლის 11-12 ივლისს გაიმართება, - ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივნმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. „ცივი ომის შემდეგ, ჩვენ ყველაზე რთული და არაპროგნოზირებადი უსაფრთხოების გარემოს წინაშე ვდგავართ. ვილნიუსში შეხვედრა შესაძლებლობა იქნება მოკავშირე სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებისთვის, შეთანხმდნენ შემდგომ ნაბიჯებზე ჩვენი შეკავებისა და თავდაცვის გასაძლიერებლად“, - განაცხადა სტოლტენბერგმა. მისივე თქმით, ვილნიუსის სამიტი იქნება შესაძლებლობა ალიანსის წევრი ქვეყნებისთვის თავდაცვის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის გადასახედად, ისევე როგორც უკრაინის მიმართ ალიანსის მხარდაჭერის გასაგრძელებლად.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების შუალედური არჩევნები მნიშვნელოვანია, მაგრამ შედეგს არ ექნება არსებითი გავლენა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე, რომელიც, დიდი ალბათობით ცუდ მდგომარეობაში დარჩება, - ამის შესახებ კრემლის პრეს-სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა. „ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ არაა საჭირო სერიოზულად გავაზვიადოთ ამ არჩევნების მნიშვნელობა რუსეთ-ამერიკის ორმხრივი ურთიერთობების მომავლისთვის მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში“, - დასძინა პესკოვმა.

* * *

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი გუშინ ირანის პრეზიდენტ ებრაჰიმ რაისის თეირანში შეხვდა. ინფორმაციას რუსული საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსი“ ავრცელებს. როგორც მედია წერს, მანამდე პატრუშევი ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივან ალი შამხანის შეხვდა. მხარეებმა უკრაინის საკითხი და მათ შიდა საქმეებში „დასავლური ჩარევა“ განიხილეს.

* * *

ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინის განცხადებით, ქვეყანა გააძლიერებს მზადებას ნებისმიერი ომისთვის. „ჩინეთი ყოვლისმომცველად გააძლიერებს სამხედრო წვრთნებს და მზადებას ნებისმიერი ომისთვის“, - აღნიშნა სი ძინპინმა. მისივე თქმით, ჩინეთის უსაფრთხოება სულ უფრო „არასტაბილური და გაურკვეველი“ ხდება.

მოამზადა
ია შველიძემ

# რა თქვა დევიდ ლიმ?

## სკანდალური განცხადება და შეფასებები















საქართველოში ევროპული ბიზნესასოციაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა დევიდ ლიმ ამ დღეებში სკანდალური განცხადება გააკეთა. „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე მან დაწერა, რომ ასოციაცია საკუთარი სურვილით არ დაუტოვებია, მიზეზად კი ევროპარლამენტარი ანდრიუს კუბილიუსი დაასახელა, რომელმაც, დევიდ ლის მტკიცებით, ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელს წერილი მისწერა და ასოციაციის ხელმძღვანელთან თანამშრომლობის შეწყვეტა მოსთხოვა მისი პოლიტიკური მოსაზრებების გამო.

„კუბილიუსმა მისწერა წერილი ევროკავშირის ყოფილ ელჩს საქართველოში კარლ ჰარცელს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ არ ეთანამშრომლა საქართველოში ევროპულ ბიზნესასოციაციასთან ჩემი პოლიტიკური განცხადებების გამო. კარლ ჰარცელმა დამიბარა თავის ოფისში მიმდინარე წლის აპრილში და მითხრა, რომ აღარ იმუშავებდა ასოციაციასთან, თუ მე დავრჩებოდი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. ამიტომ გადავდექი,“ - დაწერა „ტვიტერზე“ დევიდ ლიმ. მოგვიანებით მან დეტალურად ისაუბრა ასოციაციიდან წასვლის მიზეზებზე.

- კარლ ჰარცელმა მითხრა, რომ ევროპულ ბიზნესასოციაციასთან არ იმუშავებდა, რადგან მე ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ვიყავი და გარკვეულ პოლიტიკურ განცხადებებს ვაკეთებდი. მან ასევე მითხრა, რომ სხვა ბიზნესორგანიზაციებიც არ შეეგუებოდნენ ამას, სწორედ ამიტომ გადავდექი. ევროპულ ბიზნესასოციაციაში 5 წელი ვმუშაობდი და ის ძალიან მიყვარს. ამ ხუთი წლის განმავლობაში ის განსაკუთრებულ აპოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. მჯერა, რომ ასეთი ორგანიზაცია, სწორედ, აპოლიტიკური უნდა იყოს, მაგრამ როდესაც ჩემს პირად გვერდზე „ქართულ ოცნებაზე“ დადებითი შეფასება დავწერე, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უარყოფითი, კრიტიკა მივიღე, ასე რომ, ვფიქრობ, სერიოზული პრობლემა გვაქვს. კიდევ ერთი დიდი პრობლემა საქართველოში არის კორუმპირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად, როგორიცაა „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, რომლებიც ფულის სანაცვლოდ კონკრეტული პირებისთვის სასურველ პოზიციას იკავებენ, ისინი მიდიან ბრიუსელში და ადამიანებს დეზინფორმაციას აწვდიან, მაგალითისთვის, ისინი საქართველოში არსებული კორუფციის არასწორ მაჩვენებლებზე საუბრობენ. სინამდვილეში კი ამ მხრივ, საქართველოში ევროკავშირში არსებულ ბევრ ქვეყანაზე კარგი მდგომარეობაა. სწორედ ეს არის ჩემი გადადგომის რეალური მიზეზი, - განაცხადა დევიდ ლიმ. მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ერთად მუშაობდნენ საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან და არწმუნებდნენ, რომ ინვესტიციები არ ჩაედოთ საქართველოში.

- ისინი და „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ერთად მუშაობდნენ საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან და არწმუნებდნენ, რომ ინვესტიციები არ ჩაედოთ საქართველოში, მაშინ, როდესაც საქართველო ერთ-ერთი საუკეთესოა ინვესტირების კუთხით და წინ უსწრებს ევროკავშირის ბევრ ქვეყანას, მათ შორის უკრაინასაც და მოლდოვასაც, ევროკავშირმა კი საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭა, რადგან ოპოზიცია და ენჯეო სექტორი ბრიუსელში ყველას არწმუნებდა, რომ საქართველოში რეფორმები არ ხორციელდება. ეს კი ტყუილია, რადგან რეფორმებიც ტარდება და ბიზნესასოციაციაც ჩართული იყო ამ რეფორმებში. მიმაჩნია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ კორუმპირებულია და პირდაპირ იღებენ თანხებს დონორებისგან, თუმცა არ აკეთებენ საქმეს და ფულს პოლიტიკური მიზნებისთვის ხარჯავენ, - აღნიშნა მედიასთან საუბრისას დევიდ ლიმ. ცნობისათვის: ლი ევროპული ბიზნესასოციაციის თანადამფუძნებელია. ასოციაცია მან 2021 წლის აპრილში დატოვა.

სკანდალურ განცხადებას გამოეხმაურნენ როგორც მმართველ გუნდში, ისე ოპოზიციაში.

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განმარტებით, ადამიანები, რომლებზეც დევიდ ლი საკუთარ განცხადებაში საუბრობს, ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერები არიან და მათგან ასეთი გადაწყვეტილება არ უკვირს.

- დევიდ ლის განცხადება სკანდალურია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ განცხადებით ვარ შოკირებული ერთი მარტივი მიზეზის გამო - ბევრად უარესი რაღაცებიც გაუკეთებია როგორც ერთს, ასევე მეორეს, ვგულისხმობ კუბილიუსსა და ჰარცელს, შესაბამისად, ჩემთვის საერთოდ არ არის გასაკვირი ის დამოკიდებულება, რაც ამ ორ ადამიანს აქვს, მათ შორის ბიზნესის დამოუკიდებლობის მიმართ. ბიზნესზე ზეწოლა, ეს იყო „ნაცმოძრაობის“ ხელწერა და მათი მეგობრები ამ ხელწერით გამოირჩევიან, - განაცხადა კობახიძემ.

- დევიდ ლის განცხადება არის უმძიმესი ბრალდება და დადასტურების შემთხვევაში ეს ნიშნავს იმას, რომ პირდაპირი ჩარევა იყო როგორც ენჯეო სექტორის მუშაობაში, ისე ბიზნესის საქმიანობაში, - ასე გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე ევროპის ბიზნესასოციაციის დამფუძნებლის და ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის განცხადებას. მდინარაძის თქმით, როდესაც ადამიანი იმაზე საუბრობს, რომ მას აუკრძალეს საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ აკრიტიკებდა „ნაცმოძრაობას“, რადიკალურ ოპოზიციას თუ ენჯეო სექტორის რადიკალურ ნაწილს, ამაზე უარესი არაფერი შეიძლება იყოს.

მომხდარის დაჯერება უჭირთ საპარლამენტო ოპოზიციაში. მმართველი პარტიის ოპონენტები ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელის პოსტის უკან „ქართული ოცნების“ კვალს ხედავენ და აცხადებენ, რომ უმრავლესობა ამ ფორმით ანტიდასავლურ რიტორიკას აძლიერებს.

- ხელისუფლების მთავარი მიზანი, როცა ჩვენ კანდიდატის სტატუსი უნდა მივიღოთ, ის კი არ უნდა იყოს, რომ თავს ესხმოდეს ამ ქვეყნის ყოფილ ელჩებს ან მოქმედ ელჩებს, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს და ა. შ. მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ თითოეული ასეთი ადამიანი მაქსიმალურად გამოიყენოს, რათა საქართველომ მიიღოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, - განაცხადა პარლამენტის ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ წევრმა ანა წითლიძემ.

- ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლების ნარატივია, მაქსიმალური თავდასხმა მიიტანოს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებზე იმ დროს, როდესაც მოსახლეობის დაკვეთაა, ქვეყანამ მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. ეს თავდასხმები საქართველოს უქმნის მნიშვნელოვან დაბრკოლებას ამ გზაზე, - მიაჩნია დამოუკიდებელ დეპუტატ თეონა აქუბარდიას.

დევიდ ლი ბოლო წლების მანძილზე აქტიურად იმეორებს ზუსტად იგივე ნარატივს, რასაც ავრცელებს „ქართული ოცნება“, - განაცხადა „ანტიკორუფციული მოძრაობის“ წარმომადგენელმა ირაკლი ფავლენიშვილმა. მისი თქმით, ავტორიტარული რეჟიმის გზაზე დამდგარ ქვეყნებში აპრობირებული მეთოდია არასამთავრობო ორგანიზაციებზე და მედიაზე თავდასხმა.

- ზოგადად, ავტორიტარულ რეჟიმებში აპრობირებულია ეს მეთოდი. რუსეთშიც ასე მოხდა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები პირდაპირ უცხოეთის აგენტებად გამოაცხადეს. ასევე იმ ქვეყნებში, რომლებიც ავტორიტარული რეჟიმის გზას ღიად ადგანან, ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებზე პროპაგანდისტული მეთოდებითა და სახელისუფლებო საშუალებებით თავდასხმა. რაც შეეხება დევიდ ლის, ეს არის ადამიანი, რომელიც პირდაპირ არის აფილირებული ხელისუფლებასთან, არის „ქართულ ოცნების“ ღია მხარდამჭერი, გამოირჩევა, მათ შორის, სიძულვილის ენით როგორც ოპოზიციური სპექტრისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ისე ყველა იმ თავისუფლების კუნძულის მიმართ, რომელიც შემორჩენილია ჩვენს ქვეყანაში. ის ბოლო წლების მანძილზე აქტიურად იმეორებს ზუსტად იგივე ნარატივს, რასაც ავრცელებს ხოლმე „ქართული ოცნება“. ასე რომ, მისი მხრიდან „საერთაშორისო გამჭვირვალობაზე“ თავდასხმა მოულოდნელი არ ყოფილა, - აღნიშნა ირაკლი ფავლენიშვილმა.

ევროპის ბიზნესასოციაციის ყოფილი ხელმძღვანელის განცხადებას წლის მთავარ სკანდალს უწოდებს ეკონომისტი გიორგი ცუცქირიძე. მისი თქმით, დღეს უკვე ღიად იკითხება იმ კამპანიის მიზანიც, რომელიც ხელების გადაგრეხის ტაქტიკით, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ხორციელდება ევროპელ დეპუტატთა ნაწილის მხრიდან და რომლის მთავარი ამოცანაც ხელისუფლების ცვლილებაა.

- ამ პოლიტიკის შემადგენელი იყო ჯერ ევროკავშირის კანდიდატობის დაბლოკვა ქართულ ოპოზიციასთან უნისონში, დიდწილად გამოგონილი ბრალდებებით, ხოლო თუნდაც ამ დღეებში დაწესებული 12 პუნქტის შესრულებაზე მათი ეს შეფასებები, განსაკუთრებით დეოლიგარქიზაციის კანონპროექტის მიმართ, უკვე აშკარად წარმოაჩენს საბოლოო მიზანსაც - საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება უნდა აიძულონ, წავიდეს მისთვის წამგებიან დათმობებზე, რასაც ხელისუფლების ცვლილებები უკვე უახლოესი არჩევნებით მოჰყვება ან წინააღმდეგ შემთხვევაში, არ უნდა მიენიჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსი, რასაც ქვეყანაში დესტაბილიზაციის ახალი ტალღა და ხელისუფლების ცვლილება უკვე რევოლუციური სცენარით უნდა მოჰყვეს. „ქართული ოცნება“ დღეს რეალურად დგას ამ გამოწვევის წინაშე, თუმცა ყველაფერს მაინც ხალხის მზაობა გადაწყვეტს, - წერს ეკონომისტი და დასძენს, - ქართულმა საზოგადოებამ, ვფიქრობ, ამ წლებში კარგად გადააფასა წარსულის გაკვეთილები, პოლიტიკურადაც გაიზარდა და არ წამოეგება ამ ახალ სატყუარასაც. მხოლოდ საგარეო მოთხოვნაზე და საკუთარი მოსახლეობის ინტერესების უარყოფაზე ორიენტირებული ოპოფლანგის განულებული რეიტინგები კი IRI-ის ბოლო კვლევამაც კარგად აჩვენა.

*შეგახსენებთ დევიდ ლის მიერ სხვადასხვა წელს გაკეთებულ რამდენიმე განცხადებას:*

*2014 წელი - „წინა მთავრობამ ბევრი გააკეთა საქართველოში ბიზნესკლიმატის გასაუმჯობესებლად, მაგრამ სამწუხაროდ, არ შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას“.*

*2016 წელი - „რუსთავი 2“ არ არის დამოუკიდებული ტელეკომპანია. პირიქით, როგორც რუსული პროფესიონალური შავი პიარის აგენტი, ისინი მუშაობენ სიმართლის წინააღმდეგ, და როგორც რუსული პროპაგანდა ამ ქვეყანაში, ისინი არიან ძალიან სახიფათო დემოკრატიის პროცესისთვის“.*

*2018 წელი - „აზრი, რომ სააკაშვილი ბრუნდება, უკვე არის პრობლემა ინვესტიციისა და საქართველოს ვალუტისთვის“; „სააკაშვილი იყო კატასტროფა ბიზნესებისთვის 2003 წლიდან 2012 წლამდე. ახლაც არის. ასევეა მისი პარტია და ასევეა მისი კანდიდატი“.*

მოამზადა
ია შველიძე

საქართველო ერთ-ერთი საუკეთესოა ინვესტირების კუთხით და წინ უსწრებს ევროკავშირის ბევრ ქვეყანას, მათ შორის უკრაინასაც და მოლდოვასაც, ევროკავშირმა კი საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭა, რადგან ოპოზიცია და ენჯეო სექტორი ბრიუსელში ყველას არწმუნებდა, რომ საქართველოში რეფორმები არ ხორციელდება

# „ჩვენ ვართ გუნდი ერთი ინტერესებით და სირთულეების არ გვეშინია!“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

თაკო ორაგველიძე ბათუმში დაიბადა. სწავლობდა მე-2 საჯარო სკოლაში. შემდეგ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ტექსტილისა და ინტერიერის დიზაინი შეისწავლა. პროფესიით მხატვარ-დიზაინერია. გახსნილი აქვს ხელსაქმის სკოლა, სადაც პატარებს ხატვას, ფერწერას, ხეზე მუშაობას, ძერწვას ასწავლის. სხვადასხვა წვეულებისთვის დეკორაციებსაც ამზადებს. ეს საქმე მეუღლესთან ერთად თავისი სახლის ფარეხში დაიწყო და ბრენდსაც ეს სახელი შეურჩიეს -„ბოლო ფარეხი - Last garage“.

**- თაკო, როდის გაგიჩნდათ ხელნაკეთი ნივთების დამზადების იდეა?**

- იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიაში ვსწავლობდი, გამიჩნდა პატარა ნატვრა - მქონოდა ჩემი სახელოსნო, საამქრო, სადაც საინტერესო ნივთებს გავაკეთებდი საინტერესო ადამიანებთან ერთად - ამ იდეის განხორციელებას ვერ ვახერხებდი. წლების შემდეგ კი შევხვდი ადამიანს, რომელმაც დაიჯერა ჩემი და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დღეს ჩემი სივრცე მქონოდა. აქ პროფესიულად სრულიად თავისუფალი ვარ და ამავდროულად, ბედნიერი, საყვარელ საქმეს ვაკეთებ.

**- ძირითადად რა სახის ნივთებს ამზადებთ?**

- ვამზადებთ ინტერიერის აქსესუარებს, სარკეებს, სანათებს, დეკორატიულ ავეჯს, კედლის პანოებს, პატარა აქსესუარებს, ასევე, შევისწავლეთ კერამიკა. ეს ჯერ სიახლეა ჩვენს სახელოსნოში, მაგრამ მუშაობის პროცესში ვართ და მალე ჩვენი დამზადებული ულამაზესი კერამიკის ნივთები და ჭურჭელი გვექნება. აქვე დავამატებ, რომ წვეულებებისთვის დეკორაციებს, სკულპტურებს და კომპოზიციებს ვაკეთებთ.

**- როგორია მათი დამზადების ტექნოლოგია, რა მასალებს იყენებთ და რამდენად რთულია?**

- ჩვენი სამუშაო მასალაა ხე, რკინა, მინა, ქსოვილი, თაბაშირი, თიხა... - გააჩნია ნივთს, კეთების დროს რას მოითხოვს... ყველანაირ მასალასთან გვაქვს შეხება. ვფიქრობ, არაფერია რთული, როცა გულით აკეთებ. ჩვენ ვართ გუნდი ერთი ინტერესებით და სირთულეების არ გვეშინია.



**- გაქვთ სახელოსნოც. როგორ გარემოში მუშაობთ?**

- დიახ, ჩვენ გვაქვს სახელოსნო სკოლა. გარდა იმისა, რომ ჩამოთვლილ ნივთებს ვამზადებთ და ამ კუთხით ვმუშაობთ, ასევე გვაქვს ხელსაქმის სკოლა, სადაც დადიან პატარები და მოზრდილები, სწავლობენ ხატვას, ფერწერას, ხეზე მუშაობას, ძერწვას, ქსოვილის მოხატვას, მინაზე ხატვას და სხვადასხვა ხელსაქმეს ძალიან თბილ გარემოში. გვაქვს დიდი სივრცე, სადაც ყველაფრის გაკეთება შეიძლება, რაც კი თავში მოგვდის და ეს სივრცეც ჩვენი ხელებითაა გაკეთებული.

**- შეკვეთებს თუ იღებთ?**

- კი და ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად. მაბედნიერებს ეს ყველაფერი. ახლო მომავალში ორ სხვადასხვა პროექტზე ვიწყებთ მუშაობას - დავამზადებთ სანათებს ერთ-ერთი კომპანიისთვის და საახალწლო წვეულების დეკორაციებს.

**- კიდევ რომელ სფეროში იმუშავებდით სიამოვნებით?**

- ჩემი ოცნებები ავიხდინე და საყვარელ საქმეს ვაკეთებ, მაგრამ მქონდა კიდევ ერთი ნატვრა - მუსკომედიის თეატრის მსახიობობა. მინდოდა მემღერა და გამემხიარულებინა ადამიანები, მაგრამ ამას მეგობრების წრეშიც ძალიან კარგად ვახერხებ. ახლა მსურს ჩემი პროფესიით საინტერესო სატელევიზიო გადაცემა მქონდეს.

**- პროდუქცია ბრენდირებული თუ გაქვთ და ხომ არ გიფიქრიათ, თქვენი ნამუშევრები უფრო ფართო აუდიტორიისთვის გაგეცნოთ?**

- ჩვენი ნივთები ბრენდირებულია და ჩვენი ლოგოთი იყიდება - „ბოლო ფარეხი - Last garage“. ქვეყნის გარეთ არ გაგვიყიდია, თუმცა დღეს უკვე ეს თავისუფლად შეგვიძლია და ამაზეც ვფიქრობთ.

**- რა გსიამოვნებთ ყველაზე მეტად?**

- თუ პროფესიული თვალსაზრისით მეკითხებით, ყველაზე მეტად მსიამოვნებს იმ ადამიანების კმაყოფილი სახეები, ვისაც ვემსახურებით, ჩვენი ბავშვების ბედნიერი სახეები, როცა საინტერესო ნივთის კეთებას ასრულებენ. პირადს რაც შეეხება - მსიამოვნებს იმ ადამიანებთან საინტერესოდ და სახალისოდ დროის გატარება, ვინც მიყვარს და მაბედნიერებს. ეს ჩემი ოჯახი და მეგობრები არიან.



**- რა არის თქვენს საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი?**

- ერთგულება და მოთმინება. ამისთვის დიდი დრო დაგვჭირდა. მე და მეუღლემ ეს საქმე დავიწყეთ ჩვენი სახლის ფარეხში, არ ვნებდებოდით, არ ვჩერდებოდით, არ გვიღალატია. როცა იმ საქმეს იწყებ, რომელიც გიყვარს, ყველაფრისთვის უნდა იყო მზად. ხანდახან არ გამოგივა, ხან არ დაგინახავენ, „დაგაბულინგებენ“. ბევრიც იფიქრებს, ამას რა უნდა, მეც გავაკეთებო, მაგრამ... მთავარია რწმენა, მიზანი, სიყვარული, ერთგულება შენი საქმის და ყველაფერი გამოვა.

**- სამომავლოდ რას გეგმავთ?**

- გვინდა უფრო დიდ საქმეებში ჩავერთოთ, კერამიკის კუთხით აქტიურად ვიმუშაოთ. ზაფხულისთვის კი საინტერესო გეგმები გვაქვს.

> ***„ჩვენ გვაქვს სახელოსნო სკოლა. გარდა იმისა, რომ ჩამოთვლილ ნივთებს ვამზადებთ და ამ კუთხით ვმუშაობთ, ასევე გვაქვს ხელსაქმის სკოლა, სადაც დადიან პატარები და მოზრდილები, სწავლობენ ხატვას, ფერწერას, ხეზე მუშაობას, ძერწვას, ქსოვილის მოხატვას, მინაზე ხატვას და სხვადასხვა ხელსაქმეს ძალიან თბილ გარემოში***

## უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის ანდრეი ერმაკის განცხადებით, უკრაინამ ბავშვების რუსეთში გაყვანის შესახებ ათასობით მტკიცებულება შეაგროვა და გამოდის წინადადებით, რომ „დიდი ოცეულის“ სამიტზე სწორედ ეს თემა განიხილონ. „რუსეთის ფედერაცია აგრძელებს დანაშაულების ჩადენას უკრაინელ ბავშვებთან დაკავშირებით. ბავშვების გაყვანა ჯერ კიდევ გრძელდება“, - განაცხადა ერმაკმა. ზელენსკის ოფისის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეროვნული საინფორმაციო ბიუროს ცნობით, 10 500 ბავშვი დეპორტირებული ან იძულებით გადაადგილებულია. ერმაკმა აღნიშნა, რომ ბავშვების დაბრუნების შესახებ დისკუსიები 15-16 ნოემბერს ინდონეზიაში G20-ის სამიტზე უნდა დაიწყოს. სამიტს, სავარაუდოდ, ვოლოდიმირ ზელენსკიც დაესწრება.

* * *

ბახმუტისა და ავდიივკას მიმართულებებით რუსული ძალები „სერიოზულ დანაკარგებს“ განიცდიან, რაც მათ მორალზე აისახება, - უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ქვეყნის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთ ჯგუფის წარმომადგენელმა სერგეი ჩერევატიმ განაცხადა. „დონბასი რჩება ჩვენი მტრის თავდასხმის მთავარ ეპიცენტრად. ბახმუტისა და ავდიივკას მიმართულებებზე უდიდესი თავდასხმებია. მტერი ცეცხლს ხსნის ყველა სახის საარტილერიო სისტემებიდან, ნაღმმტყორცნებიდან და ტანკებიდან, მაგრამ მნიშვნელოვან ზარალს განიცდის“, - განაცხადა ჩერევატიმ. მისი თქმით, ბახმუტისა და ავდიივკას მიმართულებებით რუსეთი ყოველდღიურად 100-მდე ჯარისკაცს კარგავს, „ეს არის სერიოზული დანაკარგები და გავლენას ახდენს მათ მორალურ მდგომარეობაზე“, - აღნიშნა ჩერევატიმ. როგორც ცნობილია, რუსული ძალები დონეცკის ოლქს მუდმივად ბომბავენ. რეგიონში ელექტროენერგიის, გათბობისა და წყალმომარაგების პრობლემებია.

* * *

უკრაინელმა სამხედროებმა გასული დღის განმავლობაში 55 რუსი ოკუპანტი და რუსეთის არმიის საბრძოლო მასალის ორი საცავი გაანადგურეს, - ამის შესახებ ოპერატიული სარდლობა „სამხრეთის“ ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ცნობით, რუსებმა უკრაინის შეიარაღებული ძალების პოზიციებს ავიაციის გამოყენებით ოთხჯერ შეუტიეს. საპასუხოდ, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა 11 დარტყმა მიაყენეს მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის სისტემებს და მათი ცოცხალი ძალისა და აღჭურვილობის კონცენტრაციის უბნებს. „საერთო ჯამში, უკრაინულმა სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფებმა 290 საცეცხლე ამოცანა შეასრულეს. რუსეთის არმიამ დაკარგა: 55 ადამიანი, 4 ტანკი, საზენიტო სარაკეტო სისტემა, თვითმავალი ჰაუბიცა „აკაცია“, ორი ნაღმმტყორცნი და 9 ავტომობილი“, - აცხადებენ სარდლობაში. მათივე ცნობით, გარდა ამისა, განადგურდა მტრის საბრძოლო მასალის 2 საცავი სნიგირევკასა და კოსტრომკას მახლობლად.

* * *

მდგომარეობა მძიმეა მთელ ფრონტზე. ზოგიერთ რაიონში სასტიკი პოზიციური ბრძოლები გრძელდება და განსაკუთრებით რთულია დონეცკის რეგიონში, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, „ოკუპანტების აქტიურობა იქ უკიდურესად მაღალია. ყოველდღიურად ათობით თავდასხმა ხდება. განიცდიან მასშტაბურ ზარალს, მაგრამ მათი ბრძანება - მიაღწიონ დონეცკის ოლქის ადმინისტრაციულ საზღვარს - არ შეცვლილა. იქ ჩვენი მიწის არცერთ სანტიმეტრს არ დავთმობთ და მადლობას ვუხდი ყველა ჩვენს გმირს, რომლებიც დონბასში პოზიციებს იკავებენ“, - აღნიშნა ზელენსკიმ. რაც შეეხება ხერსონის ოლქს, მისი თქმით, უკრაინული ძალები ამაგრებენ პოზიციებს და ანგრევენ რუსულ ლოგისტიკას. „ხერსონის ოლქი... ნათლად გვესმის, რას გეგმავს მტერი, ამიტომ ვმოქმედებთ შესაბამისად. ფრთხილად, გააზრებულად და მთელი ჩვენი ტერიტორიის განთავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე. ვამაგრებთ ჩვენს პოზიციებს, ვანგრევთ რუსულ ლოგისტიკას და მუდმივად ვანადგურებთ ოკუპანტების პოტენციალს, ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ოკუპაცია გააგრძელონ“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, აღმოსავლეთით, უკრაინელები ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევენ უკრაინის დროშის ყველა ქალაქსა და თემში დაბრუნებისკენ. „ასევე მნიშვნელოვანია, რომ უკრაინელებს საკმარისი მოცულობის გაზი და ქვანახშირი მიეწოდოს. ნათლად გვესმის: ზამთრის იარაღად გადაქცევა არის ტერორისტული სახელმწიფოს გეგმა ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ისევე, როგორც მთელი ევროპის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს რუსული გეგმაც ისევე ჩავარდეს, როგორც სხვა გეგმები“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

რუსეთის აგრესიის შედეგად უკრაინაში დაახლოებით 8 000 სამოქალაქო პირი დაიღუპა, მათგან 430 ბავშვი. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებათა კომისარი დმიტრი ლუბინეცი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ავრცელებს. მან აღნიშნა, რომ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან სამოქალაქო მოსახლეობის დანაკარგები ათასობით აღირიცხება, ხოლო მილიონობით ადამიანი იძულებით გადაადგილდა. კერძოდ, ლუბინეცის თქმით, რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის შედეგად უკრაინაში 7 938 სამოქალაქო პირი დაიღუპა, 10 897 დაიჭრა, 14-მა მილიონმა სახლი დაკარგა, 6.2 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირი გახდა ქვეყნის შიგნით, 11.7 მილიონი - ლტოლვილი და დროებითი თავშესაფარი მიიღო უკრაინის ფარგლებს გარეთ, 1.4 მილიონმა წყალზე წვდომა დაკარგა, 4.6 მილიონს შეზღუდული წვდომა აქვს წყალზე. ასევე, უმაღლესი რადას ადამიანის უფლებათა კომისრის თქმით, სრულმასშტაბიანი ომის შედეგად, 8.5 თვის განმავლობაში უკრაინაში 430 ბავშვი დაიღუპა, 827 დაიჭრა, 260 უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება, 10 570 დეპორტირებულია რუსეთში ან დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

* * *

უკრაინას ზამთრისთვის გაზი და ქვანახშირი საკმარისი რაოდენობით აქვს და აგრძელებს მარაგების შევსებას. ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა მთავრობის სხდომის დროს განაცხადა. „ჩვენი გაზსაცავების შევსება ასევე გრძელდება. შედარებით თბილი შემოდგომა და ენერგორესურსების ეკონომია ჯერ კიდევ გვაძლევს საშუალებას, იმაზე მეტი გაზი შევინახოთ, ვიდრე გაზსაცავებიდან გამოგვაქვს. დღევანდელი დღის მდგომარეობით, ჩვენ გვაქვს გაზის 14.6 მილიარდი კუბური მეტრი. ამ რესურსის 98% უკრაინული გაზია“ , - აღნიშნა შმიგალმა. მან ასევე განაცხადა, რომ თბოელექტროსადგურებისა და თბოელექტროცენტრალების საწყობებში ქვანახშირის 1.5 მილიონი ტონა ინახება, რაც თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე საჭირო გარანტირებული მარაგი. „ასე რომ, რესურსები საკმარისად გვაქვს დაგროვებული და საკვანძო გამოწვევად სწორედ რუსეთის მიერ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გამიზნული დაზიანებები რჩება“, - დასძინა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, - ამის შესახებ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი ოლექსი დანილოვი „ტვიტერზე“ წერს. მისი თქმით, უკრაინას ასევე სჭირდება თანამედროვე საჰაერო თავდაცვის, თვითმფრინავების, ტანკებისა და შორ მანძილზე მოქმედი რაკეტების მიწოდების გარანტია. „სტრატეგია - პრევენციული ნაბიჯები. რუსული რაკეტები უნდა განადგურდეს ჰაერში, ხმელეთსა და ზღვაზე გაშვებამდე“, - წერს დანილოვი.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძე

# «ტყის რესურსების გადარჩენის უპირობო საშუალებად ბუნებრივი გაზის დროულად შემოყვანა მიმაჩნია»

*__სულიკო ბოლქვაძე__ შუახევის მუნიციპალიტეტის წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელია. იგი ჩვენი სტუმარია.*



- აღმასრულებელ სტრუქტურაში მუშაობის დაწყებამდე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ვიყავი წყალსაყრის თემიდან. ჩემი და თვითმმართველობის სხვა ორგანოების წარმომადგენლების თაოსნობით, ხელისუფლების მხარდაჭერით, რამდენიმე მნიშვნელოვანი, აქ მცხოვრები ადამიანების ინტერესებზე მორგებული სოციალური, კულტურული პროექტი და პროგრამა განხორციელდა. საუკუნეებია, თემის მოსახლეობა ზაფხულობით საქონელს აჭარა-გურიის ქედის კალთებზე არსებულ საძოვრებზე მირეკავს. იქ მისასვლელი საავტომობილო გზები მოუწესრიგებელი, ჩაბნელებული იყო. თაგინურის, მერიაყელის, ტყისველას იაილების განათება ბიუჯეტს 1,5 მილიონი ლარი დაუჯდა. თაობებს ის დროც ახსოვთ, როცა შორეული სოფლები ნაღვარევი, ინწკირვეთი ზამთრობით ჩაკეტილი იყო. გადაადგილება მხოლოდ თოვლზე გაკვალული საცალფეხო ბილიკით შეიძლებოდა. შარშან უხვთოვლიანი ზამთარი გვქონდა, თუმცა მხოლოდ ერთი კვირით შეფერხდა ნაღვარევამდე სატრანსპორტო მიმოსვლა. მამაჩემი ნოდარ ბოლქვაძე ჭვანის ხეობაში ცნობილი პიროვნება იყო, სოფელზე, ადამიანებზე მზრუნველი. ახლა ხაბელაშვილებში თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა, შესანიშნავი სკოლის შენობა რომ გვაქვს, მის გარჯას მიეწერება. ჩემი ვალია მისი გზა გავაგრძელო. იგი ნაადრევად წავიდა წუთისოფლიდან. წლების შემდეგ საზოგადოებამ კეთილი სიტყვებით უნდა მომიხსენიოს. ამ ეტაპზე მთავარ საზრუნავად მიმაჩნია ინწკირვეთის ცენტრის კეთილმოწყობა, ხაბელაშვილების, ნაღვარევის ტერიტორიული პოტენციალის ათვისება, ბრილის საჯარო სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცება, ელექტრომეურნეობის მოწესრიგება, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კონტინგენტის შენარჩუნება, «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით» მობილიზებული თანხების დროული ათვისება, ბრილში სათხილამურო ბაზის მშენებლობა, ხაბელაშვილების გაბროს, ბრილის თიხის მოპოვება-გადამუშავება. ის წლები მახსოვს, როცა ხიჭაური-ჭვანის ხუთკილომეტრიან გზაზე ტრანსპორტს ნორმალურად გადაადგილება არ შეეძლო. ახლა ასფალტიანი გზა ხაბელაშვილებს გასცდა და მალე ხიჭაური-ნაღვარევის 25-კილომეტრიან გზაზე ტრანსპორტს, მგზავრს გადაადგილება აღარ გაურთულდება. ამინდი მოიშლებოდა თუ არა, ჭვანის ხეობა, მით უმეტეს, შორეული სოფლები, დენის გარეშე რჩებოდა. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, «ენერგო-პრო ჯორჯიას» შუახევის ცენტრის ხელმძღვანელობამ განაახლა ხიჭაური-ნაღვარევის 10-კილომეტრიანი გადამცემი ხაზების მეურნეობა. საქმიანი ურთიერთობები გვაქვს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან. გვპირდებიან, რომ გაისად დასრულდება ჭვანა-ბრილის 9-კილომეტრიანი გზის რეკონსტრუქცია და ბეტონის საფარის დაგება. ჩვენი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე გაივლის მთა თაგინურზე მისასვლელი საავტომობილო გზა. წელს გამართულ «ჯვარიმინდვრობის» ფესტივალზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი თორნიკე რიჟვაძე გვესწრებოდა. მან პირობა მოგვცა, რომ გაისად ხაბელაშვილები-ჯვარიმინდორის საავტომობილო გზის 13-კილომეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგება. სადაც გზა და წყალია, იქ სიცოცხლეა, შპს «აჭარისწყლის ალიანსი» გერმანიის მთავრობის თანადგომით მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. ჩვენი ადმინისტრაციული ერთეულიდან, გიდელას ხევიდან აღებული წყალი რამდენიმე სოფელს და დაბა შუახევს მიეწოდება. 15-მდე სოფელთან ერთად, მასში ბრილიც ჩართულია. ეს პროექტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ყველაზე მნიშვნელოვანია შუახევის რაიონის ისტორიაში. გიდელას ხევში წყლის დებეტიც არის, თანაც მთებიდან მომდინარე წყალი იშვიათად იმღვრევა.

**- ფოლკლორის ეროვნულმა ცენტრმა, პირადად ეთნომუსიკოლოგმა ნინო რაზმაძემ მოგცათ შესაძლებლობა, ავთენტურ ანსამბლ «ჭვანის» ხელოვნება ჯერ თბილისელი, შემდეგ ბათუმელი მაყურებლისთვის გაგეცნოთ. რას აკეთებთ ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ტრადიციების შესანარჩუნებლად?**

- ანსამბლ «ჭვანის» რეპერტუარი, ნაღვარევული «ხორუმი» ვერ ამოწურავს იმ ფოლკლორს, რაც ჩვენს სოფლებშია შემონახული. თავის დროზე, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-იან წლებში, ინწკირვეთელი გოგონების «ხერტლის ნადურს», ხაბელაშვილებელი უხუცესების სიმღერებსა და ცეკვებს მაღალი შეფასება მისცეს იაპონელმა სპეციალისტებმა. უდავოდ დიდია საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომა. ამაგს ვერ დავუკარგავთ შუახევის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს ტარიელ ებრალიძეს, რომელმაც ხაბელაშვილებში ეთნოგრაფიული მუზეუმი გახსნა. მუზეუმის დირექტორმა ტარიელ ბოლქვაძემ 200-მდე ექსპონატს მოუყარა თავი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მოხმარების საგნები იყო.

**- «წისქვილების სოფელი», ხაბელაშვილების (მერეს) ისტორიული ხიდი, სხვა ობიექტები რამდენად იზიდავს ტურისტს?**

- აჭარის მთიანეთის ყოველ სოფელში წყალი დოლაბის ქვას ატრიალებდა და სიმინდს აფქვავდა, რაც ჩვენებური ოჯახის გამოკვების უპირველესი პროდუქტი იყო. დღეს წყლის წისქვილს დენის წისქვილით ჩანაცვლება ამჯობინეს. ხაბელაშვილებში წყლის წისქვილები შევინარჩუნეთ, რის ბაზაზეც «წისქვილების სოფლის» დაარსების იდეა გაჩნდა. ეს წამოწყება და ჩვენი სოფლის ტერიტორიაზე არსებული ხის ხიდი უკვე მრავალ ვიზიტიორს იზიდავს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გარკვეული თანხები გამოყო ჩვენი თემის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისთვის.

**- სოფლები ცარიელდება. ამ პრობლემის დასაძლევად რა გზას ხედავთ?**

- ეს 21-ე საუკუნის სენია. გვქონდა დასახლებული უბნები: ფოთარო, ძაღიანი, ნაგომარი. ახლა იმ უბნებში აღარავინ სახლობს. არადა, წინა საუკუნის 80-იან წლებში ყველგან დაწყებითი სკოლები იყო მოსწავლეთა საკმაო კონტინგენტით. მოსწავლეთა ის რაოდენობა ახლა ჟანივრის საჯარო სკოლაშიც აღარაა. ვფიქრობ, ლელთის ტბის ტურისტული პოტენციალის ათვისება, ნაღვარევი-ჩრდილა-ბახმაროს საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და ბეტონის საფარის დაგება, ნაღვარევის ცენტრის კეთილმოწყობა იმის წინაპირობა იქნება, რომ რამდენიმე ოჯახის კერა ისევ გაცოცხლდეს. სოფელს ისეთი თანადგომა, როგორიც ამ ეტაპზე აქვს, არ ახსოვს, თუმცა ახალგაზრდობა მაინც აღარ ჩერდება. ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის, თითოეული ჩვენგანის უპირველეს მიზნად უნდა იქცეს ხაბელაშვილების გაბროს და ბრილის თიხის სამრეწველო მოპოვება-გადამუშავება, რაც ერთ ხანს კარგი ტემპით მიდიოდა, მაგრამ ბოლო წლებში შეჩერდა. სოფელში მცხოვრები ოჯახი თავად უნდა იყოს დაინტერესებული მიწის რესურსების მაქსიმალური ათვისებით, ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებით. კარგია ტურიზმი, მეზობელ თუ განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის ყოველდღიური მოხმარების პროდუქციის ადგილზე წარმოება-რეალიზაცია ყოველთვის მომგებიანი იქნება. თემის ტერიტორიაზე არსებულ ჭრაგაუვალ ტყეებში უმაღლესი ხარისხის მერქნის დიდი მარაგია. ყველა შიშობს, რომ იქ გზების შეყვანა, მერქნის მიზნობრივი ათვისება გარემოს დააზიანებს, მაგრამ თუ ადგილზე არსებული ნედლეულის ბაზაზე საამქროებს გავხსნით, ადგილობრივები მუდმივ სამუშაოს გაიჩენენ და ზომიერი მოხმარებით ტყეებიდან ხანდაზმულ მცენარეებსაც გამოზიდავენ. აქაა საჭირო ტყის დაცვის სპეციალისტების, გარემოს დამცველების მიზნობრივი მოქმედება. მერქნის მოპოვება თანამედროვე, ტექნიკის გამოყენებით უნდა წარიმართოს.

**- ბუნების ამ საგანძურით ბევრი ისევ ცდილობს ხელის მოთბობას...**

- ეს მავნე ჩვევა წინა საუკუნის 90-იანმა წლებმა და 21-ე საუკუნის პირველმა ათწლეულმა დაგვიტოვა. ვისაც ხელი მიუწვდებოდა, ყველა ტყის რესურსების ათვისებით ცდილობდა გამდიდრებას. მრავალმა კიდეც მოიწყო ცხოვრება. ახლა ის დრო აღარაა, ქვეყანასაც პატრონი ჰყავს და ბუნებრივ რესურსებსაც. ის ეროვნული სიმდიდრე, რომელიც 30 წლის განმავლობაში გავანიავეთ, განაჩენს თაობებს გამოუტანს. გახშირებული მეწყრული პროცესები, წყალდიდობები, ზვავები, კლდის ქანების ჩამოშლა ბუნებრივი რესურსების არამიზნობრივმა მოხმარებამ განაპირობა. ბუნება, გარემო ზედმეტ ჩარევას არავის პატიობს. ტყის რესურსების გადარჩენის უპირობო საშუალებად ბუნებრივი გაზის დროულად შემოყვანა მიმაჩნია.

***"ვფიქრობ, ლელთის ტბის ტურისტული პოტენციალის ათვისება, ნაღვარევი-ჩრდილა-ბახმაროს საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და ბეტონის საფარის დაგება, ნაღვარევის ცენტრის კეთილმოწყობა იმის წინაპირობა იქნება, რომ რამდენიმე ოჯახის კერა ისევ გაცოცხლდეს. სოფელს ისეთი თანადგომა, როგორიც ამ ეტაპზე აქვს, არ ახსოვს, თუმცა ახალგაზრდობა მაინც აღარ ჩერდება. ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის, თითოეული ჩვენგანის უპირველეს მიზნად უნდა იქცეს ხაბელაშვილების გაბროს და ბრილის თიხის სამრეწველო მოპოვება-გადამუშავება***

# მადლობის სიგელი გადასცეს



***შუახევში მომუშავე ცნობილ აკომპანიატორს, კულტურისა და ხელოვნების ღვაწლმოსილ, თვითნასწავლ ხელოვან როლანდ ივანაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა***

მას მშობლიურ სოფელ ჯაბნიძეებში ესტუმრნენ და საიუბილეო თარიღი მიულოცეს, ნაყოფიერი და მრავალწლიანი მუშაობისთვის მადლობის სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ივანაძემ.

- როლანდ ივანაძე 60 წელზე მეტია, ქართული ხელოვნების სამსახურშია. სხვადასხვა წელს მუშაობდა შუახევის რაიონის კულტურის განყოფილების ინსპექტორად, კულტურის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებლად, შუახევის კულტურის სახლის დირექტორად. 15 წელზე მეტია უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ აკომპანიატორია. მონაწილეობდა როგორც ქვეყნის, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ ფესტივალებში. დაჯილდოებულია მედლებით, სიგელებით, დიპლომებითა და ეროვნული ფოლკლორის პრემიით. იგი ამ ასაკშიც აგრძელებს კულტურის სფეროში მოღვაწეობას, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

# შეხვედრები – დანისპარაულში, ბეღლეთში, ირემაძეებში

დანისპარაული, ბეთლეთი, ირემაძეები ხულოს მუნიციპალიტეტის ის სოფლებია, სადაც მალე თოვლს დადებს. მოახლოებული ზამთარი, სოფლების წინაშე არსებული პრობლემები იყო მთავარი საკითხები ამ სოფლებში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებზე, რომლებსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობას მუნიციპალიტეტსა და სხვადასხვა უწყებაში მიმდინარე პროგრამებსა და პროექტებზე მიაწოდეს ინფორმაცია და მოქალაქეების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს.

- შეხვედრების მიზანს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების ადგილზე გაცნობა და მათი მოგვარების გზებზე ერთობლივი მსჯელობა წარმოადგენდა, - გვითხრა რენარ ბოლქვაძემ.

**გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ**

# ჩაუტარდება თუ არა რეაბილიტაცია ეკომიგრანტების საცხოვრებელ სახლს, სამხარაულის ექსპერტიზის პასუხზეა დამოკიდებული

ფიქრია დავლაძე 597 25 25 72

*ბათუმის მერია თამარის დასახლებაში, ტბეთის ქუჩაზე, ეკომიგრანტებისთვის აშენებულ ერთ-ერთ სახლთან დაკავშირებით შესაბამის ზომებს ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ მიიღებს*

როგორც ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოში იუწყებიან, ტბეთის ქ. №16-დან დახმარების თხოვნით შესულია განცხადება, რომელშიც წერია, რომ ყოველი გაწვიმება კორპუსს აზიანებს.

- აღნიშნული კორპუსის ავარიულობის განსაზღვრისათვის სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მივმართეთ. ველოდებით პასუხს, მოსული დასკვნის საფუძველზე უახლოეს პერიოდში დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, - განაცხადეს ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ადმინისტრაციაში.



- ტბეთის ქუჩაზე, ეკომიგრანტებისთვის აშენებულ საცხოვრებელ სახლში ყოველი გაწვიმებისას კედლები იმდენად სველდება, რომ სინოტივე სახლშიც აღწევს, რაც უსიამოვნო სუნს იწვევს. გარდა ამისა, ზიანდება სახლის კედლები, ლპება და მასზე სოკოვანი წარმონაქმნები ჩნდება №16-ში მცხოვრებთა თქმით, საკუთარი ძალებით პრობლემის მოგვარება არ შეუძლიათ, რადგან მაღალსართულიან კორპუსში შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება ისეთ ფინანსებთანაა დაკავშირებული, რისი საშუალებაც მოსახლეობას არ გააჩნია. რამდენიმე დღის წინ უხვი ნალექის შედეგად თითქმის ყველა აქ მცხოვრებს შეექმნა პრობლემა. როგორც გარეთ წვიმს, შეიძლება ითქვას, სახლშიც იგივე მდგომარეობაა. ამ დროისთვის კედლები ცოტათი შეშრა, თუმცა ჯერ კიდევ წვიმის კვალი ატყვია. ძალიან ბევრჯერ მოვითხოვეთ, მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, შეიძლება შესაბამისი ზომების გატარებაც, მაგრამ ამ დრომდე რეაგირება არ მომხდარა, - ამბობს ერთ-ერთი დაზარალებული იზო ჯინჭარაძე.

იზოს მსგავსად, უხვი ნალექის შედეგად დაზარალდა ამავე სახლში მცხოვრები მაკა დავითაძეც. ახალგაზრდა ქალს სახლში არსებული ნესტის გამო ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, იგი მკურნალობას თურქეთის რესპუბლიკაში, ერთ-ერთ კლინიკაში გადის.

- ბათუმში ყველამ იცის, როგორი წვიმიანი ამინდებია, როგორც ჩემს მეზობლებთან, ისე სველდება ჩემთანაც კედლები, მერე დიდი დრო სჭირდება მის გამოშრობას. დროთა განმავლობაში დამიზიანდა ფილტვები. დატვირთული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, პერიოდულად ვერ ვახერხებდი დასასვენებლად წასვლას და ჰაერის გამოცვლას. აქედან გამომდინარე, გაციება, სურდო, ხველა ქრონიკულ დაავადებაში გადამეზარდა და ბოლოს ფილტვები დამიზიანდა. იმდენად სერიოზულად დავავადდი, თურქეთში დამჭირდა მკურნალობის გაგრძელება. როგორც აღმოჩნდა, მსგავსი პრობლემით თურქეთის კლინიკისთვის არაერთ ქართველს მიუმართავს, მათგან უმეტესი აჭარის რეგიონიდანაა. ბათუმში ისედაც ნოტიო ჰაერია, ყველას ერთნაირი იმუნიტეტი არ აქვს, არსებობენ სუსტი იმუნური სისტემის მქონე ადამიანები. სწორედ ამიტომ სავალდებულოა კორპუსების შესაბამისი დამცავი საშუალებით შეფუთვა, რათა დაცულები იყვნენ ბავშვები, მოხუცები, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები, - ამბობს მაკა დავითაძე.

# მედიკამენტებზე კანონი გამკაცრდება

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა, რომ მედიკამენტებზე რეფერენტული ფასების განსაზღვრის შემდეგ კანონი გამკაცრდება, რაც სხვადასხვა ტიპის სანქციებს გაითვალისწინებს.

„რაც შეეხება აღსრულების ნაწილს, კანონში შეგვაქვს გამკაცრებაც, რომელიც შეეხება სხვადასხვა ტიპის სანქციებს. ისინი პირველ შემთხვევაზე გაფრთხილებას გულისხმობს, ხოლო განმეორებით შემთხვევაში - 5 ათასიდან 45 ათას ლარამდე დაჯარიმებას როგორც საცალო ქსელში მყოფი აფთიაქების, ასევე დისტრიბუტორებისა და საბითუმოდ მოვაჭრეების. ეს ისეთი რეგულაციაა, რომელიც ყველამ ზედმიწევნით უნდა დაიცვას, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სანქციების ნაწილიც და შემოწმებების, მონიტორინგის სიხშირეც, რაც დაგეგმილი გვაქვს, რომ აქტიურად გავაგრძელოთ“, - განაცხადა აზარაშვილმა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხდება რეფერენტული ფასების საკითხზე ქვეყნების შერჩევა, მინისტრმა განმარტა, რომ ახლა მიმდინარეობს მათი განსაზღვრა.

„ქვეყნები, საიდანაც ფასებს განვსაზღვრავთ, შეირჩევა ეკონომიკების, მოსახლეობის რაოდენობის და



სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ეს არ არის ჩვენი მოგონილი კრიტერიუმები, გვყავს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი კონსულტანტები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დახმარებით, რომლებმაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს რეფერენტული ფასები დანერგეს. ზუსტად იმ გამოცდილებას ვითვალისწინებთ და იმ სამოქმედო გეგმის მიხედვით მივყვებით. ამ ქვეყნების არჩევის შემდეგ, ვფიქრობთ, რომ 4 ან 5 ქვეყანა იქნება მაქსიმუმ“, - განაცხადა აზარაშვილმა.

ამირან გურიელიძე

# სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა 15 ნოემბრამდე უფასოა

მე-2 გვერდიდან

რაც შეეხება მიმდინარე პერიოდს, უკვე ნებისმიერ მსურველს შეუძლია აიცრას სამედიცინო დაწესებულებებში, უსასყიდლოდ. შეგახსენებთ, რომ 2014 წლიდან დაიწყო აცრების კამპანია საქართველოში. თავდაპირველად ჯანდაცვის სამინისტრომ 4000 დოზით დაიწყო, წელს კი ქვეყანა 200 000 დოზა ვაქცინით მოამარაგა.

- ბევრს აინტერესებს, რამდენად ეფექტური იქნება ახლა აცრის ჩატარება და რამდენად დაიცავს იგი ადამიანს ვირუსისგან, გეტყვით, რომ, ზოგადად, სეზონურ გრიპს აქვს ცირკულაციის პერიოდი. სანამ ეს პეროდი დაიწყება, მანამდე არის სასურველი ვაქცინაციის ჩატარება, თუმცა ახლაც შეიძლება. ჯერჯერობით არის კარგი, ხელსაყრელი პირობები ვაქცინაციისათვის. გვახსოვდეს, რომ ეს ვაქცინა გვიცავს გრიპისგან და არა გრიპისმაგვარი დაავადებებისგან. აჭარაში, დღეის მდგომარეობით, 13 ათასზე მეტი აცრაა ჩატარებული, აქედან ყველაზე მეტი აცრილი 60 წელს გადაცილებულია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო საზოგადოებას: გრიპი არის სერიოზული ვირუსული დაავადება, რომელიც ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს, განსაკუთრებით კი ორსულებს სჭირდებათ ვაქცინაცია, რადგან ვირუსი ორსულებში რთულად მიმდინარეობს, - განაცხადა აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა რუსუდან შავიშვილმა.

# რას გვაძლევს შესწორებების კომპრომისული ვარიანტი და ისარგებლა თუ არა საქართველომ რუსეთ–უკრაინის ომით?

მე-3 გვერდიდან

ესტონელ ევროპარლამენტარ სვენ მიქსერის (სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი) მიერ მომზადებული ყოველწლიური ანგარიში - „ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ“ საფუძვლად დაედება რეზოლუციას, რომელსაც საბოლოოდ ევროპარლამენტის სხდომაზე დაამტკიცებენ. ზუსტი თარიღი ჯერ არ დაზუსტებულა.

კიდევ ერთი თემა იმისთვის, რომ ჩვენში ასე მიღებულმა აზრთა სხვადასხვაობამ ფრთა გაშალოს, არის ის, რომ საქართველოს ეკონომიკის ორნიშნა პროცენტული ზრდა რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და ომმა განაპირობა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მონაცემებით, წელს ქვეყანამ რუსეთიდან ფულადი გზავნილებით, ტურიზმით და საქონლის ექსპორტით დაახლოებით 2,2 მლრდ აშშ დოლარი მიიღო. ეს 2021 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 2,6-ჯერ მეტია.

მარტიდან სექტემბრის ჩათვლით საქართველოში 9.500-მდე რუსული კომპანია დარეგისტრირდა, რაც 2021 წლის სრულ მაჩვენებელსაც კი 10-ჯერ აღემატება. იანვარ-სექტემბერში რუსეთიდან იმპორტი 73%-ით გაიზარდა და 1,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

„მნიშვნელოვნად გაზრდილი რუსული საქონლის იმპორტი, ფულადი გზავნილები და საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მიერ კომპანიების დაფუძნება ზრდის რისკს, რომ საქართველო რუსეთზე დაწესებული სანქციების გვერდის ასავლელად იყოს გამოყენებული“, - აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევაში.

„ეკონომიკური ექსპანსია და მიგრაციაც ოკუპაციის ფორმაა. მომიყვნენ შემთხვევების შესახებ, როცა რუსეთის უშიშროებამ რუსეთის მოქალაქეები უკვე აქ - თბილისში „დაავერბოვკა“. ეუბნებიან, ჩვენთვის იმუშავე, თორემ რუსეთში ვეღარ დაბრუნდებითო. ეს სახელმწიფოს უსაფრთხოების თემაა. ღმერთმა არ ქნას და, თუ უკრაინაში რუსეთმა წარმატებას მიაღწია, მეორე დღესვე ჩვენ „მოგვხედავენ“. ათასობით ანგარიში რომ გაიხსნა ბანკებში, რას ხმარდება ეს ფული? იქნებ, ტანკებს ყიდულობენ. ვაკონტროლებთო. გავარკვიე და როგორ აკონტროლებენ, იცით? რაღაც ანკეტას ავსებინებენ, რომელშიც რასაც გინდა, იმას ჩაწერ“, - წერს ექსპერტი გია ხუხაშვილი.

- იმაზე საუბარი, რომ საქართველო უკრაინაში შექმნილ მძიმე სიტუაციას თავისი ინტერესებისთვის იყენებს, არის აბსურდული და მორიგი ძალიან მძიმე და ბინძური ბრალდება, - განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გივი მიქანაძემ.

„უკრაინაში რუსეთის მხრიდან წარმოებული აგრესიის პირველივე დღიდან ვხედავთ, რომ რადიკალური ოპოზიცია ცდილობს ამ ფაქტორის ქვეყნის დასაზიანებლად გამოყენებას. ორნიშნა ეკონომიკური ზრდა საქართველოში ჯერ კიდევ მაშინ დაფიქსირდა, როდესაც უკრაინაში რუსული აგრესია დაწყებული არ იყო. როცა საუბარია იმაზე, რომ გარკვეული სავაჭრო ზრდა არის რუსეთთან, აქ, პირველ რიგში, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებსაც, რომლებმაც სხვადასხვა მიმართულებით რუსეთს სანქციები დაუწესეს, აქვთ ძალიან დიდი ზრდა სავაჭრო ურთიერთობაში რუსეთთან, - ამბობს მიქანაძე.

აღნიშნული ომის დაწყებიდან დღემდე, საქართველოს გარდა, რუსეთის მოქალაქეები მასობრივად გადასახლდნენ ყაზახეთში, სომხეთში, თურქეთში.

ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ ჟომართ ტოყაევმა ოქტომბერში განაცხადა, რომ რუსეთიდან ყაზახეთში 50 საერთაშორისო კომპანია გადაბარგდა. ამავე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა კი აღნიშნა, რომ რიგში კიდევ 300 კომპანია დგას. ასევე ყაზახეთში თავისი ბიზნესის გადატანა სურთ რუსულ კომპანიებსაც.

რუსეთიდან მიგრირებული ხალხის გამო 13-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას ელოდებიან სომხეთში. ArmInfo/FinPort წერს, რომ შემოდგომამდე სომხეთში რუსეთის 100 ათასამდე მოქალაქე ჩავიდა. დარეგისტრირდა 300 მსხვილი კომპანია რუსული კაპიტალით და მცირე ბიზნესის 2500 სუბიექტი.

რუსეთის მოქალაქეებმა სომხეთის ბანკებში რეკორდულად დიდი თანხა ჩადეს. თუ კი თებერვალში არარეზიდენტებზე 12,7 ათასი ანგარიში მოდიოდა, აპრილში მათი რიცხვი უკვე 33,3 ათასი იყო. სომხეთის ბანკები ახლა არნახულ შემოსავალს ელიან. წლის პირველ ნახევარში მათი სუფთა მოგება 280 მილიონ დოლარამდე იყო - სამჯერ მეტი, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდში.

ძალიან ბევრი მიგრანტი ჩავიდა თურქეთშიც. ის ნატოს ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციები არ შემოუღია. რუსული ანკლავები შეიქმნა სტამბოლში, ანტალიაში, ალანიასა და მაჰმუთლარში. ომის დაწყების დღიდან რუსები თურქეთში ყოველდღიურად 34 ბინას ყიდულობდნენ. უკვე სექტემბერში ბინებზე მოთხოვნა რუსების მხრიდან 127,2 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 2021 წლის ამავე პერიოდში. მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ კი მოთხოვნა კიდევ რამდენჯერმე გაიზარდა.

მოამზადა
მარი მიდასელმა

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 9/11/22, 21 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# ნაქარგებიდან წამოსული წარსულის ხმები...

## გამოფენა, რომელიც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას ემსახურება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*აჭარის ხელოვნების მუზეუმმა ამ დღეებში უჩვეულო გამოფენას - „აჭარული ნაჭრელები“ უმასპინძლა, სადაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობის საფუძველზე და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, პროექტის „ღორჯომის ხეობის ნაჭრელები“ პრეზენტაცია შედგა*





აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ხნით ადრე ასეთივე გამოფენა-პრეზენტაცია ცნობილ „გარდენიაში“ გაიმართა. პროექტი კულტურის სამინისტროს კონკურსის - „კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა“ - გამარჯვებულია. მისი ავტორი ზურაბ შევარდნაძეა.

პროექტის მიზანი, ერთი მხრივ, ღორჯომის ხეობის ტრადიციული რეწვის განვითარების ხელშეწყობა და ამ პროცესში ახალგაზრდების ჩართვა, მეორე მხრივ კი საზოგადოებისთვის სახელოსნოში დამზადებული რეწვის ნიმუშების, ხეობაში გაკეთებული ეთნოგრაფიული ჩანაწერებისა და აუდიო-ვიზუალური მასალების გამოყენებით, საქართველოს ამ განსაკუთრებული კუთხისა და მისი ტრადიციების გაცნობაა.

ხელოვნების მუზეუმში ამ პროექტის ფარგლებში შეგროვებული არაჩვეულებრივი ექსპონატები გამოიფინა - აჭარული ნაქარგობანი, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, ფოტოები, ვიდეოჩანაწერები.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ესწრებოდნენ.



პროექტის ფარგლებში, სამინისტროს დაფინანსებით, ღორჯომის ხეობაში ტრადიციული რეწვის სახელოსნო ამუშავდა, სადაც დასაქმდნენ ქალბატონები, რომლებიც ხეობაში შეგროვებული ორნამენტების გამოყენებით, სხვადასხვა დეკორატიულ ნივთს ამზადებენ. სახელოსნო საჭირო ინვენტარითაც მომარაგდა, რათა შემდგომ დამოუკიდებლადაც შეძლოს საქმიანობა.

გარდა ამისა, სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა ზურაბ შევარდნაძის ორენოვანი წიგნი-ალბომი „ვინ მყავს უფროსი?!“. გამოცემაში გაერთიანებულია ღორჯომის ხეობის შესახებ მონათხრობი და ფოტომასალა, რომელზეც აღბეჭდილია ხეობის მცხოვრებთა ყოველდღიური ყოფა. მასალა მოიცავს ფოტოკატალოგსაც ზურაბ შევარდნაძის პირადი კოლექციიდან.

ზურაბ შევარდნაძესთან ერთად პროექტზე მუშაობდნენ ალბომის რედაქტორები, ფოლკლორისტები ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული. ფოტოების ავტორია ზაქარია ჭელიძე, ვიდეომასალა კი დაამუშავა ხატია მაღლაკელიძემ.

...სწორედ რომ სულზე მიუსწრო ზურა შევარდნაძემ მთაში შემორჩენილ ჩვენს უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას. ის აგერ უკვე 15 წელია, სტუმრობს აჭარის მაღალმთიანეთს, კერძოდ, ხულოს რაიონის სოფლებს და გამორჩეულად ღორჯომის ხეობას. „ამ ხეობას ვარ შეჩენილი, გურიაზე არანაკლებ მიყვარს, ვიცნობ ამ საოცარ ხალხს, ვიცი მათი ტკივილი, „დერდები“, სიხარული“, - წერს ბატონი ზურა.

როგორც თავად ამბობს: „ბევრი ხელობა დავკარგეთ თვალსა და ხელს შუა, სულ უფრო ცოტა ადამიანი საქმობს ხელით. აჭარული ნაქარგობა ერთ-ერთია, რომელიც იკარგება, „ახლები აღარ ქარგვენ“. ზურა შევარდნაძის ამ ძალიან საინტერესო წიგნში არის შესული იქაური ადამიანების მიერ მოთხრობილი ნამდვილი ამბები.

როგორც ხულოს რაიონის სოფელი ღორჯომის მკვიდრმა ჯემალ ქათამაძემ და მისმა მეუღლე მელექმა გვითხრეს, ძალიან კარგია, რომ ასეთი სახელოსნო გაიხსნა (სახელოსნო მათ სახლშია გახსნილი). ეს ხელს შეუწყობს, რომ ქარგვის ტრადიცია არ დაიკარგოს, მომავალ თაობას შემორჩეს. პროექტში მონაწილეობა ზურა შევარდნაძემ შესთავაზა. მელექის დედამთილი თამარ ქათამაძეც შესანიშნავად ქარგავს.

- აქ გამოფენილი ნაქარგები დიდი ხნისაა, ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს. თითოეული ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის იქნება. ახლა უფრო ბევრი სწავლობს ქარგვას და სასიხარულოა, რომ ახალგაზრდობაც დაინტერესდა, ეს კი ზურა შევარდნაძის პროექტის დამსახურებაა, - გვითხრეს ქათამაძეებმა.

გამოფენას დაესწრო პოეტი ეთერ თათარაიძე, რომელმაც გვითხრა:

- აჭარლები საკუთარ ტრადიციებს ინახავენ, დიდ პატივს მიაგებენ წინაპრებს. მე და ამირან არაბული წიგნის - „ვინ მყავს უფროსი?!“ რედაქტორები ვართ, ამიტომ იდეიდან დაწყებული მის დასრულებამდე, ზურასთან ერთად განვიცდიდით ყველაფერს, გვიხაროდა. ღორჯომშიც ვიყავით რამდენჯერმე. ზურა შევარდნაძემ მართლა ღვთიური საქმე გააკეთა აჭარისთვის - ნაქარგები არა მხოლოდ აღადგინა, არამედ ეს საქმე ააღორძინა. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ქალბატონ თეა წუკლუკიანს გულწრფელ მადლობას ვუხდი ამ პროექტის განხორციელებისთვის, მან სახელოსნო გაუხსნა ქალებს, რომელთაც ზამთარში, როცა იქ სამი მეტრი თოვლი დევს, ცხოვრება ერთფეროვანი აქვთ. ისინი გამოცოცხლდნენ, გახალისდნენ. ქარგულობა, ნემსის სუფთად ამოგდება, ფერის შეხამება... ამას ყველაფერს შთამომავლობას შეუნახავენ. ღორჯომში აჭარული წინდის 37 სახეობა ვნახეთ, ამას კიდევ ბევრი ნაირსახეობა დაემატა. ამის მოძიება არ იყო მარტივი. იქ, იმ კუთხეში, არაჩვეულებრივი ოჯახია, რომელიც დიდ ენერგიას ხარჯავს იმისთვის, რომ თავისი კუთხე კიდევ უფრო საინტერესო გახადოს. არის ხალხური ხელსაქმე? ეს ფოლკლორის ერთი დარგია. ვალდებული ვართ, მას მოვუაროთ, რომ ჩვენი სული გადარჩეს.

გამოფენა პროექტის ავტორმა გახსნა.

- ეს პროექტი ჩვენი საერთო საქმეა. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, დიდი ხელშეწყობითა და მხარდაჭერით აჭარის მაღალმთიანეთში, სოფელ ღორჯომში გაიხსნა სახელოსნო, სადაც უფროსი და ახალგაზრდა თაობის ქალბატონები ერთად ქარგავენ და ქსოვენ. ბოლო წლებში თვალსა და ხელს შუა ბევრი პროფესია გამოგვეცალა ხელიდან, დაიკარგა. ერთ-ერთია აჭარული ნაქარგობანი. დღეს ადამიანი ნაკლებად შრომობს ხელით. პროექტი ემსახურება იმას, რომ ახალგაზრდებმა გააგრძელონ ქსოვა. ეს მნიშვნელოვანია. ამ სახელოსნოს გახსნის გარდა გამოიცა კატალოგი „ვინ მყავს უფროსი?!“ ნაქარგების შესახებ. ამ პროექტის მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა ქალბატონ თეა წულუკიანს, აჭარის კულტურის სამინისტროს გამოფენის მოწყობისა და მოპატიჟებისთვის, - აღნიშნა ზურა შევარდნაძემ.

- ხელოვნების მუზეუმი დღეს მნიშვნელოვან გამოფენას მასპინძლობს, მადლობა აქაურ მასპინძლებს - მაია ხაჯიშვილს, აკაკი ძნელაძეს, რომლებიც ბევრს აკეთებენ, რომ კულტურისა და ხელოვნების სფერო იყოს სათანადოდ წარმოჩენილი. ნაქარგები და ფოტოსურათები, რომლებიც გამოფენაზეა წარმოდგენილი, ჩვენი კარგი თანამშრომლობის შედეგია. თავად პროექტს ზურაბ შევარდნაძე ხელმძღვანელობს. კარგია, რომ ეს გამოფენა თბილისის შემდეგ ბათუმში იმართება, ეს არის ყველაზე შესაფერისი ადგილი ამ გამოფენისთვის, რადგან ყველას მიეცა აჭარის მთის ქალების ნამუშევრების ნახვის შესაძლებლობა. მადლობა ზურას ამ პროექტისთვის და იმ ქალბატონებს, მთაში რომ შრომობენ, მადლობა ქალბატონ ეთერს, ჩვენს გზამკვლევს ფოლკლორისტიკაში. ჩვენ არა მხოლოდ აჭარაში მცხოვრებ, არამედ ყველა იმ ქალბატონს დავუდგებით მხარში, ვინც მთაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, - აღნიშნა თეა წულუკიანმა.

- ამ ხელსაქმეს - ქარგვას, მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ის საუკუნეებს ითვლის, მაგრამ ასე ხმამაღლა ამ საინტერესო საქმიანობის შესახებ ჯერ არ თქმულა. მადლობა იმ ქალბატონებს, ვინც წლებს გამოატარა ეს ხელსაქმე, ვინც ჩვენამდე მოიტანა, - თქვა მაია ხაჯიშვილმა.

- ჩვენი ქვეყანა ძალიან მრავალფეროვანია, კუთხეები - ერთმანეთისგან განსხვავებული. ეს შესანიშნავი ნიმუშები შექმნილია მთაში, ერთგვარად ჩაკეტილ სივრცეში და გაოცებას ვერ მალავ - როგორ ქმნის ადამიანი ასეთ სილამაზეს? შესანიშნავია აქ გამოფენილი შავ-თეთრი ფოტოები, რომლებზეც კარგად ჩანს, ერთი მხრივ, რა რთული ცხოვრება აქვთ მთაში და, მეორე მხრივ, რა სიცოცხლით სავსეა მთა. მნიშვნელოვანია, რომ მთაში გაიხსნა სახელოსნო, რომელიც გააგრძელებს ქარგვის ტრადიციებს. ვისურვებდი, სხვა კუთხეებშიც დაედოს სათავე ასეთ წამოწყებებს, - აღნიშნა საპატიო თბილისელმა, მსახიობმა გიორგი მესხიშვილმა.

- ბათუმში ერთი კვირაა, ვიმყოფები, კარგად არ ვიცნობ ქართულ კულტურასა და ხელოვნებას. დღევანდელი დღე განსაკუთრებულად დამეხმარა აჭარის გაცნობაში. აქ გამოფენილმა ფოტოებმა კი ჩემთვის საინტერესო ადგილები აღმომაჩენინა აჭარის მთიანეთში, რომელიც სამომავლოდ მინდა მოვინახულო, - გვითხრა იტალიელმა ალბერტო ვეტესემ, რომელიც საჯარო სკოლაში იტალიურ ენას ასწავლის.

- აჭარული ნაქარგობა, თანაც სხვადასხვა რაკურსით, თავისი კონცეფციით, ნამდვილად საინტერესო მოვლენაა. შესანიშნავია, რომ სოფელში გაიხსნა სახელოსნო, გამოიცა წიგნი, ნაქარგები გამოიფინა ფართო საზოგადოების წინაშე. ყოველივე ეს ამ ტრადიციის ახალი სიცოცხლეა, ახალი ძალა, მისი გადარჩენის ძალიან კარგი საშუალებაა. აჭარული ნაქარგები ნამდვილად ატარებს აჭარული სულის მისტიკურ აურას. ჩემთვის ეს ნაქარგებიდან გადმოსული წარსულის ხმებია. ვისურვებდი, რომ ახალმა თაობამაც გააგრძელოს ქარგვის ტრადიცია, რათა ეს მისტიკური რგოლი თაობებში არ გაწყდეს. ეს გამოფენა პოპულარიზაციას გაუწევს ჩვენი კულტურისათვის ძალიან დამახასიათებელ მოვლენას - ქარგვას. დასამახსოვრებელია აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ხალხის პორტრეტები. ფოტოები კიდევ უფრო ექსპრესიულს ხდის გამოფენის კონცეფციას. ზურაბ შევარდნაძის პროექტი ნამდვილად ღირსეული და გამორჩეულია შემოქმედებითი შინაარსით, თავისი სიუჟეტით. ჩემთვის იყო ძალიან კარგი არტ-ტანდემი - ნაქარგობისა და ფოტოგრაფიისა, - თქვა მხატვარმა ნინო გოგოლიშვილმა.

- ექსპონატთა სიმრავლის გამო, გადაწყდა გამოფენის ხელოვნების მუზეუმში მოწყობა. ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ფონდი მოიცავს მრავალფეროვან ეთნოგრაფიულ ექსპონატებს, რომლებიც გამოფენილიცაა და ფონდებშიც ირიცხება. ვფიქრობთ, რომ ამ გამოფენით კიდევ ერთხელ გავაცნობთ საზოგადოებას მაღალმთიანი აჭარის ეთნოგრაფიას, კერძოდ, ნაქარგობებს, რომელიც ჩვენს კულტურას წარმოადგენს. არ არის გამორიცხული, სამომავლოდ პროექტის მასშტაბები კიდევ უფრო გაფართოვდეს და გაიზარდოს, - აღნიშნა აჭარის მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელმა თეონა ზოიძემ.